125

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

წელიწადი მეხუთე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4, მე-8 ხართული

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26 მე-2 ხართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76 მდივნის 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.250.000 მან. განცხადება 15 კაპ. ჩვეულებრივ ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩვეულებრივ.

№ 134 ხუთშაბათი 14 ივნისი, 1923 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 50,000 მან. № 134

დ ღ ი უ რ ი

ინგლისის კომპარტიის პოლიტბიურომ გამოუშვა მოწოდება, რომელშიც მოითხოვს მშრომელთა წრისგან [illegible] რებას რუსეთ-ინგლისის კონფლიქტის თავიდან აცილებისათვის.

ინგლისის მთავრობა არ აპირებს ულტიმატიურად [illegible] ვოს გერმანიას პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტა.

სენატში იტალიის მთავრობის თავმჯდომარემ მუსოლინიმ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც აღნიშნა ის გარემოება, რომ ფაშიზმს შიგნით დიდძალი მტრები ჰყავს.

შტატების შემცირება და უმუშევრობის საკითხი

შრომის ბირჟა ამ ჟამად ითვლის ჩვენი პატარა ქვეყნისათვის საგრძნობ რიცხვს უმუშევრებისას. ეხლა კიდევ მიმდინარეობს წარმოება-დაწესებულებებში შტატების, ასე ვსთქვათ, გენერალური შემცირება. დადგენილია შემოკლდეს შტატები საშუალოდ 35 პროცენტით. ამ ღონისძიების გატარების შემდეგ უმუშევართა რაოდენობა სულ მცირე ორ-სამად გაიზრდება.

ამოდენა უმუშევრებზე ზრუნვა მძიმე ტვირთად აწვება სახელმწიფოს. თვით უმუშევრები მაინც უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან, რადგან ჩვენი ქვეყნის ჯერ კიდევ მცირე რესურსები არ იძლევიან საშუალებას მათი ცოტად თუ ბევრად ნორმალურად დაკმაყოფილებისათვის.

უმუშევრობა მასიური მოვლენაა კაპიტალისტურ ქვეყნებში და ის თავსამტვრევ საკითხადაა გადაქცეული. იქ ეს მოვლენა გამოწვეულია ბურჟუაზიული წყობილებისათვის დამახასიათებელ მეურნეობის ანარქიით, მეურნეობის, რომელიც ამასთან ძირ-ფესვიანად შეარყია მსოფლიო ომმა და მისმა შედეგებმა.

რა თქმა უნდა, საბჭოთა რესპუბლიკა, გარშემორტყმული კაპიტალისტური მსოფლიოთი, თავისი ისედაც სუსტად განვითარებული ეკონომიკით, რომელიც ამასთან დაანგრია იმპერიალისტურმა და სამოქალაქო ომმა, ერთბაშად ვერ ააყვავებდა ქვეყანას, ასე მალე ვერ შექმნიდა სავსებით სოციალისტურ მეურნეობას და ვერ დააღწევდა თავს ბურჟუაზიულ წყობილების თანამგზავრ ზოგიერთ უარყოფით მოვლენებს, სხვათა შორის, უმუშევრობასაც, რომელიც ამ შემთხვევაში გვაინტერესებს.

და ჩვენ ვხედავთ, რომ უმუშევრები ბლომათ გვყავს. მიმდინარე შემცირება, როგორც ვსთქვით, უფრო გაამრავლებს მათ რიცხვს.

რითაა გამოწვეული ეს შემცირება?

ჩვენ რამოდენიმეჯერ მოვახდინეთ ეს ოპერაცია. ახალი სახელმწიფო აპარატის მოწყობის და რეორგანიზაციის პროცესში იქმნებოდა ამის მოთხოვნილება. ამა თუ იმ აპარატის ჩამოყალიბება, სწორი გამორკვევა მისი ფუნქციების, მუშაობის ხასიათის და ზომის, ცხოვრების პირობებთან მისი შეფარდების საჭიროება იწვევდა ამას. ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზოგიერთი პირების „უწყებრივი პატრიოტიზმი“ და „ქველმოქმედური გრძნობები“ ხშირად ამარცხებდნენ სახელმწიფოებრივი მიზანშეწონილების მოსაზრებებს და ხელს უწყობდნენ შტატების გაბერვას.

ჩვენს ამოცანას კი შეადგენს ჯანსაღი, ელასტიური და ამასთან იაფი აპარატის შექმნა, აღმოფხვრა ბიუროკრატიზმის, კანცელიარშჩინის, აპარატის უშუალოდ დაახლოვება ხალხთან, ამავე დროს სახელმწიფო ეკონომიის მაქსიმალური დაცვა. ამისათვის ერთი რადიკალური ზომაა მტკიცე შტატების დაწესება, მათი შესაძლებელი შემოკლება და პირადი შემადგენლობის თვისებითი ხარისხის აწევა.

დღევანდელი შემოკლება შეეხება წარმოებებსაც, მუშებსაც. ეს გარემოება მოწმობს, რომ ჩვენ განვიცდით წარმოების ერთგვარ კრიზისს, მის შემცირებას. ზოგიერთი ჩვენი წარმოება იძლევა დეფიციტს, ნაწარმოები ძვირად ჯდება და იგი ვერ პოულობს ბაზარს, მომხმარებლის სყიდვითი უნარის დაცემის და გარეშე ქვეყნებთან საალებ-მიცემო დამოკიდებულების მოუგვარებლობის გამო; ზოგ შემთხვევაში ნედლი მასალა და საქარხნო-საფაბრიკო მოწყობილობა არ მოგვეპოვება. აქ უეჭველად ღრმა ობიექტიურ პირობებთან გვაქვს საქმე, რომელთა დაძლევა ხანგრძლივ დროს, საერთო კონიუქტურის შეცვლას, დიდ საშუალებებს და შრომას მოითხოვს. ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენმა ზოგ სამეურნეო ორგანოებმა იმ თავითვე ფართე მიზნები დაისახეს, კარგად ვერ გამოიანგარიშეს ჩვენი რესურსები და შესაძლებლობანი; ზოგან წარმოება და ვაჭრობა ვერ წარმართეს რაციონალურად. ამითაც აიხსნება, რომ დღეს ჩვენ ვდგევართ ზოგიერთ დარგში წარმოების და მასთან შტატების შემცირების ფაქტის წინაშე.

საქმის კარგად დაყენება კი შეიძლება არსებულ საშუალებათა უტყუარი აღრიცხვით, საერთო მდგომარეობის და მომავლის პერსპექტივების სწორი გათვალისწინებით. შემდეგში, სამეურნეო გეგმების შედგენის დროს, ამას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. მაშინ ჩვენ არ დაგვჭირდება დაწყებულ საქმის შეზღუდვა და შეწყვეტა, როგორც ეს გვემართება ეხლა.

ასეა თუ ისე, უმუშევართა საკითხი მწვავედ დგას ჩვენს წინაშე, და საჭიროა მისი რამე ნაირად მოგვარება.

პირველ ყოვლისა ავღნიშნავთ, რომ შტატების შემოკლების დროს საჭიროა დიდი სიფრთხილის გამოჩენა. სხვათაშორის, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შესამცირებელ მუშა-მოსამსახურეთა ოჯახური შემადგენლობა და სხვა თანასწორ პირობებში შტატ გარეშე დატოვებულნი იქნენ ისეთები, რომელ ოჯახების წევრები რჩებიან მუშაობაზე, ან რომელთაც ჰყავთ სხვა მარჩენალნი.

შემდეგ, ჩვენ უნდა შევეცადოთ მოვაწყოთ საზოგადო სამუშაოები, არტელები უმუშევართაგან. მათ მთავრობამ, სამეურნეო ორგანოებმა და პროფკავშირებმა უნდა აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება და შეღავათები.

ფართედ უნდა მოეწყოს უმუშევართა დახმარების საქმე, მათთვის თავის დროზე და დაუბრკოლებლად დაწესებული სუბსიდიის მიცემა.

აგრეთვე უკეთ უნდა იქნას მოწესრიგებული შრომის ბირჟის მუშაობა. უნდა მოისპოს „ნათლიმამობა“, თუ მას აქვს ადგილი.

უნდა მოისპოს აგრეთვე ზედმეტი საათების მუშაობა, სადაც ეს თითქმის მუდმივადაა შემოღებული. ასეთ სამუშაოზე, თუ ეს საჭიროა და ტეხნიკურად მოსახერხებელი, უმუშევრები უნდა იქნენ მიწვეულნი.

კიდევ გვინდა ავღნიშნოთ ერთი გარემოება. ბევრს აქვს მისწრაფება თბილისში მოეწყოს და იცხოვროს, იმათაც, რომელთაც კავშირი არა აქვთ გაწყვეტილი სოფელთან და რომელთაც შეუძლიათ იქ მეურნეობის წარმოება თუ სხვა სამუშაოს შესრულება. ცოტად თუ ბევრად ინტელიგენტური ძალები სოფელს გაურბიან და ქალაქს ეტანებიან. აქ კი მათი არსებობა საზოგადოებრივი თვალსაზრისით არავითარ სარგებლობას არ წარმოადგენს.

უმუშევრობასთან ბრძოლის დროს ეს მოვლენაც მისაღებია მხედველობაში.

თავის თავად ცხადია, ჩამოთვლილი ზომებით არ ამოიწურება უმუშევრობასთან ბრძოლის საშუალებები. ეს მხოლოდ პალიატივებია, და არა საკითხის რადიკალურად გადაჭრა.

მთავარი საშუალებაა ქვეყნის მეურნეობის საერთოდ აღორძინება. საბჭოთა ხელისუფლების გულისყური აქეთკენაა მიქცეული.

მათი ერთობა

საქართვ. საგანგებო კომისიის უთავაზო მუჯლუგუნების გავლენით მენშევიკების გამომცემლობის კერა ამას წინეთ განელდა და ჩაქრა. ორი ფარული სტამბის აღმოჩენამ და მოშლამ დროებით შეაფერხა მათი გაზ. „ჩვენი ერთობა“-ს გამოცემა. ახლა მენშევიკებს უკვე მოუხერხებიათ სტამბის ან სტამბის მაგვარი სუროგატის გამართვა და გაზეთის მორიგი ნომრის გამოშვება.

მეტათ შეკვეცილი და დაჩიავებულია ეს „ორგანო“, მაგრამ მიუხედავათ ამისა ან, უკეთ, სწორეთ ამის გამო, მენშევიკების გოლიათების ტრაბახი სამყაროს ბჭეებს აზანზარებს...

„ისევ ბრუნავს! ჩვენი ერთობა ისევ გამოდის მოკეთის სასიხარულოთ და მტრის გულის გასაგმირავათ! ჯალათებს ეგონათ, რომ მოსპეს თავისუფალი სოც.-დემოკრატიული სიტ ა“... და ასე მთელი წერილის ჩა ლებით.

სჩანს, უკიდურესათ შევიწროებულა ენშევიკური მწვერვალის ირგვლივ ოკალი, უკიდურესათ გარიყულან სოც.-დემოკრატიის ქურუმნი, რომ ასეთი თავის ქება დასჭირებიათ შედარებით უბრალო საქმის—პატარა გაზეთის გამოცემის—შესრულების გამო. „განგმირული გულით“ ვულოცავთ ბედის ასე დატრიალებას: საბჭოთა წყობილების დაღუპვის დამჩემებელი „პარტია“ ხტუნავს და კუნტრუშობს არალეგალურ ფურცლის გამოშვების გამო...

„ჩვენი ერთობის“ სამ სვეტიანი ფურცლები სავსეა ნაირ-ნაირი თემებით, ქვეყნიურით და ზეციურით, მარა სული ცოცხალი აღარ სჩანს არც ერთს სტრიქონში. თითქოს მხოლოდ ფიზიკური ინერციის ნაყოფი იყოს მთელი შინაარსი გაზეთის. ცხარე და საგინებელი სიტყვები ბლომათაა ნახმარი კომპარტიის და „საოკუპაციო მთავრობის“ მისამართით, მაგრამ ეს პილპილა სულ აღარ სწვავს: მოძველებული, დამჭკნარი და ძალადაკარგულია.

უღრინენ აგრეთვე „მოღალატეებს“, პარტიიდან გასულ და გაქცეულ თავიანთ წევრებს. შური ხალთაში აღარ იმალება და მენშევიკების „ორგანოც იძულებულია გული მოიფხანოს მაგარი, მრავალსართულიანი გინებით: „ლაჩრები, სულითა და ხორცით გლახაკები, პოლიტიკური ბეცები! იმათი როლი სამარცხვინო იქნება და მათი ხმა ხალხის გულს ვერ მიწვდება“... ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი გინების გამგონე პატიოსანი ელემენტები მენშევიკური შეთხელებული მრევლისა შეიკრიბებიან და გამოიტანენ დაახლოვებით შემდეგ რეზოლიუციას: „მოვისმინეთ გინება და მუქარა პარტიიდან გასულ ამხანაგების მიმართ და დავადგინეთ ყველამ მივბაძოთ მათ და გავყვეთ“.

იმავე მოსაწყენ თემაზე—პარტიიდან ლტოლვის შესახებ—მენშევიკები ამეტყველებენ „პროფ. კავშირების არალეგალურ ბიუროს“.

ეს საზღაპრო ბიურო ბუზღუნობს: იღებენ ყოველგვარ ზომებს სუსტი ელემენტების დასაშინებლად და ხელს აწერინებენ საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოთ. „მუშათა კლასის აბსოლიუტური უმრავლესობის სახელით“ (ალბათ ათასობით გასულების სახელითაც?!) ბიურო იფიცება რომ „ვერავითარი განცხადება არსებულ ხელისუფლებასთან მიკედლების შესახებ ჩვენ (ალბათ უნდა იყოს: მენშევიკების) მასიურ რიგებს ვერ შეარყევს“. დაბოლოს „ბიურო“, როგორც წესი და კანონია, ერის მოღალატეთ აცხადებს გაქცეულებს.

მონაწილე ვართ მენშევიკების ოჯახის უდიდესი უბედურების, მარა იმედი არ გვაქვს, რომ მათი ორგანოს და ბიუროს მუქარა გააჩერებს მენშევიკურ ფარეხში ცოტათ მაინც შეგნებულ მშრომელს, თუ კი ასეთები კიდევ დარჩენილან იქ.

ახლა უფრო სერიოზულ თემაზე. გაზეთის ერთს წერილში „გახურებულ შანთზე“ ვკითხულობთ:

„მიხა ცხაკაიების ბანდიტური ყოველდღიური პოლიტიკა ქმნის საუკეთესო ნიადაგს ბანდიტებისათვის. თავის ეკონომიურ, საფინანსო და აგრარულ მოღვაწეობით ისე ანგრევენ მეურნეობას, რომ უსაქმოთ, უმიწაწყლოთ დარჩენილებს პირდაპირ უხსნიან გზას ბანდიტური გამოსვლებისაკენ“...

ამას წინეთ ნიღაბაგდებულ და ნაწილობრივ გარჩეულ სამხედრო ცენტრის საგმირო საქმეებმა ცხადი გახადეს პარიტეტული კომიტეტის ძმური კავშირი ბანდიტებთან. მენშევიკები ჩოლოყაშვილ-ფავლენიშვილების „შეფიცული ძმები“ გამოდგენ. აქამდის მენშევიკები ფარავდენ ასეთ ნათესაობას. დღეს კი საჯაროთ გამოდიან ჩოლოყაშვილების დამცველთა როლში. დაუბრუნეთ მიწა თავადებს და მეფის აფიცრებს! დაუბრუნეთ ფაბრიკა-ქარხნები და სასახლეები ძველ მეპატრონეთ!—აი რას მოითხოვენ ჩვენგან მენშევიკები.

და რაკი არ უბრუნებთ, ჩოლოყაშვილების ბანდიტობა სავსებით ბუნებრივი და კანონიერია—გვიხსნიან „მარქსისტები“. საქართველოს მშრომელნი უპასუხებენ მათ:

მოვისმინეთ თქვენი ახსნა, გავიგეთ თქვენი გულისნადები, გავეცანით თქვენს ზრახვებს და ვნახეთ თქვენი მოძმე მოკავშირენი. ამიერიდან მენშევიზმი და ბანდიტიზმი ერთი და იგივეა ჩვენთვის. თქვენი ერთობა ჩვენთვის წვალება და დაღუპვაა, გვიჯობს ორივე მოკავშირე დავასამაროთ და მით მოვიპოვოთ მოსვენება.

მან.

წერილები კოოპერაციაზე

V.

ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ წერა-კითხვის ლიკვიდაციაზე საერთოდ და განსაკუთრებით კი წერა-კითხვის ლიკვიდაციაზე ჩამორჩენილ გლეხთა მასებში. ამ წერა-კითხვის ლიკვიდაციას მით უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა იმ მხრივ, რომ შესაძლებლათ ხდის ფართო მასების შეკავშირებას, ნამდვილ შეკავშირებას კოოპერატიულ საქმიანობაში.

„კულტურულ მუშაობას გლეხობაში,—ამბობს ამხ. ლენინი,—ეკონომიური მნიშვნელობით მიზნათ აქვს გლეხობის კოოპერატიული შეკავშირება. რომ მოვახერხოთ სრული კოოპერატიული შეკავშირება, მაშინ ორივე ფეხი სოციალისტურ ნიადაგზე გვედგმებოდა. მაგრამ ეს პირობა სრული კოოპერატიულ შეკავშირებისა გულისხმობს გლეხობის (სწორეთ გლეხობის, როგორც დიდი მასის) ისეთ კულტუროსნობას, რომელიც შეუძლებელია მთელი კულტურული რევოლიუციის მოუხდენლათ“. („კომუნისტი“ 3 ივნისი).

რატომაა საჭირო ასეთი კულტუროსნობა მასიური კოოპერაციისათვის? რატომაა საჭირო, რომ კოოპერატიულ საქმიანობაში მონაწილე ფართო მასები უეჭველათ ნასწავლი იყვენ?

იმიტომ, რომ „სოციალიზმის წყობილება არის წყობილება განათლებულ კოოპერატორებისა საზოგადოებრივ საკუთრების დროს წარმოების საშვალებებზე, პროლეტარიატის კლასიური გამარჯვების დროს ბურჟუაზიაზე“ (ლენინი).

მაშასადამე ჩვენ სოციალიზმის დასამყარებლათ გვესაჭიროება არა მარტო ფართო მასების შეკავშირება საერთოდ კოოპერატიულათ, არამედ ისიც, რომ ეს ფართო მასები, რომლებიც შეკავშირებული იქნებიან კოოპერატიულათ განათლებულ იყვენ მეორე მხრით კი ეს მასიური შეკავშირება შესაძლებელი გახდება სავსებით და მოიტანს სასურველ შედეგებს სრულათ მხოლოთ მაშინ, როდესაც ჩვენი კულტურულათ ჩამორჩენილი გლეხობა „ცივილიზაციის“ გზას დაადგება, როდესაც ის „გაევროპიელდება“ ამხ. ლენინის გამოთქმით. მაგრამ ეს არის არა ერთი თვის ან ერთი წლის საქმე (დღეს ჩვენ მხოლოთ დღეებით და კვირეებით ვლაპარაკობთ და ძალზე შევეჩვიეთ ასეთ მოკლე დროიან კამპანიების ჩატარებას), არამედ ათეული წლების. „ჩვენ შეგვიძლია გავიაროთ ეს ეპოქა სულ კარგ ბოლომდე ათიოცი წლის განმავლობაში“, ამბობს ამხ. ლენინი. ასე რომ ამისათვის საჭიროა სისტემატიური, ღრმა და დაუღალავი მუშაობა დიდი ხნით. „გაევროპიელება“—აი საითკენ მოგვიწოდებს ჩვენ ამხ. ლენინი.

ეს „გაევროპიელება“, რომელზედაც გველაპარაკება ამხ. ლენინი არის წინასწარი აუცილებელი პირობა ყველა მცხოვრებლების არა უბრალო არამედ ცივილიზაციურ შეკავშირებისა კოოპერატიულათ, რაც, იგივე ლენინის სიტყვით, იგივე სოციალიზმია.

„ჩვენ ჩვენი მოწინააღმდეგენი,—სწერს ლენინი,—ხშირათ გვეუბნებოდენ, რომ ვიწყებთ უგნურ საქმეს—სოციალიზმის დამყარებას კულტურულათ არა საკმაოთ მომზადებულ ქვეყანაში. მაგრამ ისინი შეცდენ იმაში, რომ ჩვენ დავიწყეთ არა იმ ბოლოდან, რომლიდანაც უნდა დაგვეწყო (ყველა პედანტების) თეორიის მიხედვით და რომ ჩვენში პოლიტიკური და სოციალური გადატრიალება წინ უძღოდა იმ კულტურულ რევოლიუციას, რომლის წინაშე ჩვენ ახლა მაინც ვდგევართ. ჩვენთვის ახლა საკმაოა ეს კულტურული რევოლიუცია იმისთვის, რომ გადავიქცეთ ნამდვილ სოციალისტურ ქვეყნათ, მაგრამ ჩვენთვის ეს კულტურული რევოლიუცია მეტად დიდ სიძნელეს წარმოადგენს, როგორც წმინდა კულტურული (რადგან ჩვენ წერა-კითხვა არ ვიცით), ისე მატერიალური მხრით, რადგან კულტურის შესათვისებლათ საჭიროა წარმოების მატერიალური საშუალებების ერთგვარი განვითარება, საჭიროა ერთგვარი მატერიალური მასა“. („კომუნისტი“ 3 ივნისი).

ამ გვარათ აშკარა და ნათელია, თუ რა დიდ სიძნელეს წარმოადგენს ეს მეორე მხარე ჩვენი ამოცანისა, ეს ჩვენი „გაევროპიელება.

ერთი შეხედვით ჩვენ, როდესაც უკვე ვიწყებთ კოოპერაციის განვითარებასა და მასში ფართო მასების ჩაბმას, სრულ სოციალიზმამდე სულ ცოტა და პატარა რამ გვრჩება. მართალი რომ ვთქვათ, ჩვენ დაგვრჩა „მხოლოდ“ ერთი რამ: შევქმნათ ჩვენი მოსახლეობა ისეთი „განათლებული“, რომ მან შეიგნოს საყოველთაო კოოპერატიული გაერთიანების სარგებლობა და მიიღოს მონაწილეობა მასში („მონაწილეობა **არა პასიური, არამედ აქტიური**“, რადგან ამაში მდგომარეობს სწორეთ სოციალიზმი—კ. კ.). „მხოლოდ“ ეს სხვა არავითარი დიდი სიბრძნე არ არის საჭირო სოციალიზმში გადასასვლელათ. მაგრამ რომ მოვახდინოთ მარტო ეს „მხოლოდ“, საჭიროა მთელი გადატრიალება, ხალხის მასების კულტურული განვითარების მთელი პერიოდი. ამიტომ ჩვენი სახელმძღვანელო აზრი უნდა იყოს: რაც შეიძლება ნაკლები „ბრძნული ჩხირკედელაობა... მაგრამ რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის საშუალებით მოვახერხოთ მთელი მოსახლეობის გაერთიანება, ამისათვის საჭიროა მთელი ისტორიული ეპოქა, განსაკუთრებული ისტორიული ეპოქა“, რომელიც შეიცავს საყოველთაო განათლებას. („კომუნისტი“ 2 ივნისი).

ცხადია, თუ გვინდა გადავიდეთ სოციალიზმში, თუ გვინდა არსებობდეს ჩვენში ისეთი კოოპერაცია, რომელიც შეაკავშირებს „ევროპიულათ“ „განათლებულათ“ ჩვენი მოსახლეობის ყველა მასებს, ე. ი. თუ გვინდა რომ ყველა წევრები ჩვენი კოოპერაციისა, რომელიც აკავშირებს ყველა მასებს კულტუროსნები იყვენ (სოციალიზმიც სწორეთ ესაა და მეტი არაფერი), აუცილებელი საჭიროა ჩვენი ჩამორჩენილი მასების გაკულტუროსნება, მოსპობა მათში ყოველგვარი სიბნელისა და უვიცობისა. ეს კი მოითხოვს ჩვენგან დიდ შრომას, დაუღალავ მუშაობას, რასაც ჩვენ თავდადებით ხელი უნდა მოვკიდოთ და ჩქარი ტემპით ვაწარმოვოთ ის.

⁂

ამ გვარათ დღეს ჩვენთვის ცხადია, რომ 1) კოოპერაციას ჩვენს პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა, მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ. „ძველი კოოპერატორის ოცნებებში წინათ ბევრი რამ იყო ფანტასტიური“, მაგრამ დღეს პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში ის კარგავს თავის ფანტასტიურობას და პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენს ჩვენთვის.

2) დღეს კოოპერაცია, რომელიც შეაკავშირებს მცხოვრებთა რაც შეიძლება ფართო მასებს და იქცევა მასიური კოოპერაციათ, სოციალიზმის ჩანასახებია, ამიტომ მას უნდა აღმოუჩინოთ დიდი დახმარება, რომელიც უნდა გამოიხატოს „ქონებრივ შეღავათში“, როგორც ამხ. ლენინი გვასწავლის.

3) მაგრამ დახმარება უნდა აღმოუჩინოს უპირველეს და უწინარეს ყოვლისა ისეთ კოოპერაციას, რომელიც მართლაც აერთიანებს მცხოვრებთა ფართო მასებს თავის საქმიანობაში. ამიტომ კოოპერაცია უნდა ცდილობდეს გადაიქცეს ის რაც შეიძლება ფართო მასებათ.

4) ამისათვის კი საჭიროა, რომ ჩვენი მცხოვრებთა უმთავრესი მასები, რომლებსაც წარმოადგენს დღეს ჩვენი ჩამორჩენილი გლეხობა, ჩათრეულ უნდა იქნეს კოოპერაციაში. ეს ჩათრევა შესაძლებელია მათი დაინტერესებით, ე. ი. თუ გლეხობას მიეცემა ერთგვარი რეალური შეღავათი, რითაც ის დაიჩქარებს მონაწილეობის მიღებას კოოპერაციაში.

5) მაგრამ სრული სოციალიზმის დასამყარებლათ საჭიროა კიდევ მეორე მთავარი კითხვის გადაჭრა ჩვენი გლეხობის გაკულტუროსნება. ის მაშინ მიიღებს კოოპერაციაში აქტიურ მონაწილეობას, როდესაც გაგებული ექნება მისი ასავალ-დასავალი, როდესაც შეგნებული ექნება ის დიდი მნიშვნელობა როგორიც აქვს მასიურ კოოპერატიულ საქმიანობას ჩვენში, ე. ი. როდესაც ის „გაევროპიელდება“. ამიტომ დიდი და ფართო მუშაობის წარმოებას უნდა შევუდგეთ ჩვენ ამ დიდი ამოცანის განხორციელებას, რომელიც მოითხოვს ჩვენგან წლობით დაუღალავ შრომას, და რომლის განხორციელებით ხორციელდება თვით სოციალიზმი, ვინაიდან სოციალიზმი არის „ცივილიზაციურ კოოპერატორების წყობილება წარმოების საშვალებებზე საზოგადო მფლობელობის არსებობის დროს“ ამხ. ლენინის გამოთქმით.

კ. კომუნაძე.

ჰამბურგის კონგრესის შემდეგ

ჰამბურგის კონგრესის ერთად ერთი შედეგი არის აშკარა რეფორმისტების გაერთიანება მორცხვ რეფორმისტებთან. ამ კონგრესზე არ დაარსებულა ინტერნაციონალი. მან ვერ მოგვცა პროლეტარიატის წინაშე მდგომ პრობლემების დაფასება. მან ვერ შესძლო თვით მეორე ინტერნაციონალის აღდგენა.

უკანასკნელი რეფორმისტული ორგანიზაცია იყო. რევოლიუციონერობას იჩენდა მხოლოდ სიტყვებით, საქმით კი მხოლოდ რეფორმებზე ფიქრობდა, ეს რეფორმები უნდა განხორციელებულიყო კაპიტალიზმის ნიადაგზე და მის ფარგლებში, თითეული პარტია—მეორე ინტერნაციონალის წევრი—მტკიცედ იცავდა „თავის“ სახელმწიფოს და „თავის“ ბურჟუაზიას. როცა იფეთქა ომმა, ამ პარტიებმა მონაწილეობა მიიღეს მასში, მხარი დაუჭირეს ბურჟუაზიას და თავს ირთობდა ოცნებით, რომ უკანასკნელის გამარჯვება საშვალებას მისცემს მათ ოდესმე განახორციელონ რეფორმები პროლეტარიატის სასარგებლოდ. სოციალ-პატრიოტიზმი რეფორმიზმის ღვიძლი შვილია.

მსოფლიო ომის დროს კაპიტალისტებმა ევროპა ნანგრევებათ აქციეს. პროლეტარიატისათვის ათეული წლების პერიოდით გაქრა მისთვის სასარგებლო რეფორმების განხორციელების შესაძლებლობა.

ნაციონალური თავდაცვის საკითხი.

და აი კვლავ შეიკრიბენ რეფორმისტები ყველა ქვეყნებიდან: ვანდერველდე, მისი უდიდებულესობის ბელგიის კაროლის მინისტრი; ბატონი ჰენდერსონი, მისი უდიდებულესობის ინგლისის მეფის მინისტრი; ბატონი ბრანტინგი, მისი უდიდებულესობის შვეციის მეფის მინისტრი; ბატონი შეიდემანი მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ვილჰელმ მეორეს მინისტრი და მისი უწმინდესობის, მსოფლიო ბურჟუაზიის, რამდენიმე ათეული სხვა წვრილი მინისტრი. პირველი ამოცანა, რომელიც მათ წინაშე დაისვა ომის გაკვეთილების შემდეგ, ეს იყო გამოეთქვათ თავისი შეხედულება ზავის „ნაციონალური თავდაცვის“ და ბურჟუაზიასთან კოალიციის შესახებ. შეეძლოთ თუ არა მათ უარი ეთქვათ „ნაციონალური თავდაცვის“ პოლიტიკაზე? 15.000.000 კაცი იმსხვერპლა ომმა „ნაციონალური თავდაცვის“ დროს. ომის დროს სოციალ-დემოკრატები ამბობდენ: „ეს იქნება უკანასკნელი ომი“-ო. ეს სიტყვები ახლა, როცა შეიარაღება ყველგან გრძელდება, როცა საშუალო ევროპა, ახლო აღმოსავლეთი და მთელი აღმოსავლეთი ბრძოლის ასპარეზათ არის გადაქცეული, როცა მზადდება კონფლიქტები ინგლისს-საფრანგეთსა და ამერიკა-იაპონიას შორის, სიცილს იწვევენ. რა უნდა ექნათ ჩვენ რეფორმისტებს? ჰააგაში მათ განაცხადეს: „საყოველთაო გაფიცვა ომის წინააღმდეგ“-ო. მაგრამ ამის შემდეგ მეორე ინტერნაციონალის მდივანმა კამილ ჰიუსმანსმა სთქვა: „შემდეგი ომის დროსაც ჩვენ მოვიქცევით ისე, როგორც 1914 წელსო“. მაგრამ მდგომარეობა ისე კრიტიკულია, რომ ასეთი ხუმრობა სრულიად უადგილოა. და აი ჰამბურგის კონგრესმა ბრძნულად გადასჭრა ეს ყველაზე მწვავე და მნიშვნელოვანი საკითხი. მან ამ კითხვაზე სრულიად არ გასცა პასუხი. ახალი ინტერნაციონალი უსაჭოდ გადაეშვა აბობოქრებულ ზღვაში. ის მხოლოდ ნაჭუჭია, რომელსაც საითაც უნდა, იქით გააქანებს ქარი.

რეფორმების საკითხი.

რეფორმიზმი,—ეს ნიშნავს რომ პროლეტარიატმა უნდა გაიაროს დემოკრატიული წყობილება. კაუცკი ამბობს, რომ მარქსიზმს გასწორება ესაჭიროებაო. „კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლა ხდება პროლეტარიატის დიქტატურის საშუალებით“,—სწერდა მარქსი. რუსეთის რევოლიუციამ ძლიერ დააშინა ბ. კაუცკი. მან დახურა მარქსის წიგნები, გაიმაგრა ცხვირზე თავისი პენსნე, ფიქრებს მიეცა და შემდეგ წამოიძახა: „ევრიკა! დიქტატურა? ეს ხომ საყოველთაო საარჩევნო უფლებას ნიშნავს, ეს არის დემოკრატია! პროლეტარიატი ნელნელა მოიპოვებს საპარლამენტო უმრავლესობას და ხელში ჩაიგდებს ძალა-უფლებასო“.

1918 წ. კაუცკი ჯერ კიდევ ბურჟუაზიასთან კოალიციის წინააღმდეგი იყო. ამის შემდეგ დიდი დრო გავიდა, სოციალ-დემოკრატები შევიდენ ბურჟუაზიულ სამინისტროებში, სადაც კი ეს შესაძლებელი იყო. ისინი ხელს უწყობდენ ბურჟუაზიას დაებრუნებია თავისი ბატონობა. ამისათვის მას ბურჟუაზია ოჯახური სცენებით აჯილდოვებდა და უსკანდალოთ აძევებდა სამინისტროებიდან. ზოგ ქვეყნებში ასეთი მარცხის შემდეგ სოციალ-დემოკრატია საცოდაობას წარმოადგენდა, მას არც კი კითხავდენ კოალიციის მომხრეა ის თუ წინააღმდეგი. ზოგიერთ ქვეყნებში, სადაც სოციალ-დემოკრატები ჯერ არ განუდევნიათ მთავრობებიდან, ბურჟუაზიამ მათ ისეთი მოვალეობის შესრულება დააკისრა, რომ ზოგ სოციალ-დემოკრატებს ამის გახსენებაზე ჟრუანტელი უვლის ტანში. თუ დღეს გერმანელი სოციალ-დემოკრატები შევლენ „დიდ კოალიციაში“, ისინი ვერავითარ რეფორმებს ვერ დაპირდებიან პროლეტარიატს; პირიქით, იძულებული გახდებიან ახალი ტვირთი დაადვან ზურგზე მუშათა კლასს. კაუცკიმ დასწერა წიგნი სოციალ-დემოკრატიის ახალი პროგრამის შესახებ იმ დროს, როცა მისი მეგობრები ბურჟუაზიულ მთავრობაში იმყოფებოდენ მინისტრებათ. მაგრამ ამ წიგნმა გამოსვლაც ვერ მოასწრო, რომ დაძველდა. ბევრ ადგილებში დაიწყო ფაშისტების შეტევა. ასეთ პირობებში მეორე ინტერნაციონალის დროშებზე კოალიციონური პოლიტიკის ლოზუნგის წარწერა სასაცილო იქნებოდა. კოალიციისათვის, როგორც ქორწინებისათვის, საჭიროა, ყოველ შემთხვევაში ორი მხარე. ბურჟუაზია კი ფაშიზმის მახეს დგამს. რა მოუვა რეფორმებს? რა დაემართება დემოკრატიას? რეაქცია, ყოველგან რეაქცია! რა მძიმე დრო დადგა!—სჩივიან რეფორმისტები. და აქედან გამოსავალი: საკითხის გადადება უკეთეს დრომდი. და აი, ახალი ინტერნაციონალი გადის ზღვაში არა მარტო უსაჭოთ, არამედ უიალქნოთ და უკომპასოთ. ეს არის საბრალო, ნახევრათ დამპალი ხომალდი, რომელსაც აქეთ-იქით აქანებს ქარი და ტალღები.

სარეპარაციო საკითხი.

მაგრამ მაინც საჭიროა სარეპარაციო საკითხის დასმა. დე-ბრუკერმა ამას წინათ ბელგიის მუშათა პარტიის კრებაზე შეიდემანს „სისხლის სამართლის დამნაშავე“ უწოდა, აპლოდისმენტებმა დაფარა დე-ბრუკერის სიტყვები. ახლა კი გერმანიისა და ბელგიის სოციალ-დემოკრატები ძმურად უსხედან ერთ მაგიდას „სინდიკატების (პროფკავშირების) სახლში ჰამბურგში.

სარეპარაციო საკითხში ასეა ჩაწერილი ვერსალის წმინდა წიგნში: „გერმანიამ, რომელიც დამნაშავეა ომში, უნდა გადაიხადოს“. სიდნეი ვების პირით, ანტანტის სოციალისტები იძულებული გახდენ ეთქვათ, რომ ომში დამნაშავე არიან ყველა მთავრობები. აქედან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ჰამბურგის კონგრესი პროტესტს აცხადებს გერმანიაზე დაკისრებულ ვალდებულებათა გამო. სრულიადაც არა. კონგრესის აზრით გერმანია „მორალურათ“ ვალდებულია გადაიხადოს, რასაც მოითხოვს მოკავშირეთა ქვეყნების ბურჟუაზია, გერმანიის სოციალ-დემოკრატები არავითარ ანგარიშს არ უწევენ კატეგორიულ იმპერატივებს თუ მათ ზურგს არ უმაგრებს ხიშტები. და არავის არ მოსვლია აზრათ ეთქვა, რომ გერმანია ვალდებულია აუნაზღაუროს ზარალი უკრაინის გლეხებს, რომელიც მათ მიაყენა გერმანიის იმპერიალიზმმა.

ჰილფერდინგმა გულში ხელის ცემით განაცხადა, რომ ცნობს სარეპარაციო ვალებს მხოლოდ „მორალური“ მოვალეობის გამო, გულ-აჟუჩებული ლეონ ბლიუმი გულში იკრავს ჰილფერდინგს და სთხოვს მას სთქვას რამდენიმე კარგი სიტყვა საფრანგეთის ბურჟუაზიის შესახებ, რომელიც ზოგიერთმა ორატორებმა ასე მკაცრად მოიხსენია. არ არსებობს საფრანგეთის არავითარი იმპერიალიზმი! საფრანგეთმა ხომ რური მხოლოდ გერმანიის წინაშე შიშის გამო დაიკავა!

ხომ გულის ამაჟუჩებელი სცენაა! კრისპინი ფიცულობს, რომ მას თეატრშიც კი არ უნახავს არაფერი ამაზე უკეთესი.

კონგრესზე თავმჯდომარეობს ვანდერველდე საკუთარი პერსონით. მას ხელი უწერია ვერსალის ხელშეკრულებაზე. მაგრამ როგორ და როგორი რეზოლიუცია გამოიტანა ჰამბურგის კონგრესმა სარეპარაციო საკითხის შესახებ? ჰამბურგის კონგრესი არც კი გასცნობია თავის რეზოლიუციას ამ საკითხის შესახებ. ფრიც ადლერმა ეს საკითხი კომისიებს და ქვეკომისიებს მიანდო.

რუსეთის საკითხი.

ვერსალი ევროპისათვის კონტრ-რევოლიუციის სიმბოლოა. რუსეთი—რევოლიუციის სიმბოლო. ხუთი წელიწადია რუსეთი დგას სალ კლდესავით და არავითარ ანგარიშს არ უწევს მტრების სიძულვილს. ის ღარიბია. ის მუშაობს ცალ ხელში ნიჩბით და ცალში იარაღით. მისი შვილები მშიერი არიან.

პროლეტარიატის დიქტატურა იქ ჯერ კიდევ იძულებულია თავისი რკინის ხელით ჩააქროს კონტრ-რევოლიუციის ყველა გამოსვლები და პროლეტარიატის ნება უკარნახოს ყველა მშიშარა და მერყევ ელემენტებს. სოციალისტები და სოციალ-დემოკრატები, რომლებიც რუსეთის მთელი რევოლიუციის მანძილზე ხელს უწყობდენ რეაქციას, ახლაც ააშკარავებენ თავის მტრულ დამოკიდებულებას მშრომელთა რესპუბლიკისადმი. ვულსი და ნოსკე! განა მათ სინდის არ ქენჯნის რამოდენიმე ათასი დახვრეტილი მუშის სისხლი? გენდერსონი! განა ის მეფის მინისტრი არ იყო იმ დროს, როცა ხვრეტდენ დუბლინის მუშებს და მათ გმირ ხელმძღვანელებს ო! კონნოლის?

მაშ ასე. ჰამბურგმა დასწყევლა საბჭოთა რუსეთი, რომელიც სდევნის უდანაშაულოებს. მაგრამ, რადგან სინამდვილის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეიძლება, რადგან არავის არ ეპარება ეჭვი იმაში, რომ საბჭოთა რუსეთის დამარცხება ნიშნავს რეაქციის გამარჯვებას და გამეფებას მთელ ევროპაში, რეფორმისტები ასე მოხერხებულათ ათავსებენ თავის წყევლას: „მოვითხოვთ ზავს საბჭოთა რუსეთთან“.

ასე მოხერხებულად არის შეკრილი ჰამბურგის კონგრესის რეზოლიუცია.

ასეთია სოციალისტური ინტერნაციონალის პოზიცია მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური რესპუბლიკისადმი.

საბრალო ხომალდი გამოვიდა ჰამბურგის ნავთსაყუდელიდან, საბრალო ხომალდი, რომლის ძირი დაცხრილულია როგორც საცერი, რომლის ანძები დამტვრეულია, იალქნები კი ნაფლეთებათ არის ქცეული, რომელსაც არა აქვს არც კომპასი, არც საჭე, რომლის მეზღვაურები არიან ტაკი-მასხარები.

ქარი და ტალღები აქანავებს ამ ხომალდს სანამ ძლიერი ქარიშხალი არ დაამსხვრევს მას.

კარლ რადეკი.

რადიო-დეპეშები

რუსეთი და ინგლისი

„სავაჭრო შეთანხმება ძალაში დარჩება“.

ლონდონი. 11 ივნისი. შაბათს მიღებულ ცნობის წინააღმდეგ, რომელსაც იძლეოდენ გარეშე საქმეთა სამინისტროსთან ახლო მდგომარე წრეები, ლიბერალურ გაზეთ „დობზერვერის“ გუშინდელ ნომერში მოთავსებულია შემდეგი ცნობა; „საბედნიეროთ ორივე მხარესათვის, როგორც სჩანს, გადაწყდა, რომ კერზონსა და ჩიჩერინს შორის უთანხმოებას ადგილი აღარ ექნება. „სავაჭრო შეთანხმება ძალაში დარჩება“.

კერზონის ნოტის წინააღმდეგ.

მოსკოვი. 12 ივნისი. ადგილებიდან მოდის ცნობები მშრომელთა პროტესტების შესახებ ინგლისის მეორე ნოტის წინააღმდეგ. პროტესტებში მშრომელები მოითხოვენ არავითარ დათმობაზე აღარ წავიდეს საბჭოთა მთავრობა. იაპონიის მეზღვაურთა კრებაზე ვლადივოსტოკში მიღებულია რეზოლიუცია, რომელშიაც მეზღვაურები უერთდებიან თავის საპროტესტო ხმას კერზონის ნოტის წინააღმდეგ და აცხადებენ, რომ იაპონიის მუშათა კლასა მზადაა გამოვიდეს სხვა ქვეყნების პროლეტარიატთან ერთად საბრძოლველად მშრომელთა მსოფლიო სახელმწიფოს შესაქმნელად.

პროლეტარიატი ფრთხილად უნდა იყოს.

ლონდონი. 11 ივნისი. ბრიტანეთის კომპარტიის პოლიტ-ბიურომ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც იძლევა გაფრთხილებას, რომ ინგლის-რუსეთის კონფლიქტი ჯერ კიდევ არ გათავებულა და წინადადებას იძლევა გააძლიერონ აგიტაცია.

რუსეთის მეორე ნოტის გადაცემა ინგლისის მთავრობისათვის

ლიფილდი. 11 ივნისი. დღეს ბრიტანეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს ოფიციალურად გადაეცა რუსეთის მეორე ნოტა. კრასინის შეხვედრა კერზონთან მოხდება, ალბათ, ოთხშაბათს.

სად მარხია ძაღლის თავი

ლონდონი. 11 ივნისი. გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა მაკ ნეილმა განაცხადა თემთა პალატაში, რომ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ აღნუსხულ პრეტენზიათა საერთო რიცხვი უდრის 35.000. საკითხი ამ პრეტენზიების შესახებ უნდა მოწესრიგდეს საბჭოთა მთავრობის მიერ და განისაზღვროს სავაჭრო ხელშეკრულებით.

რუსეთი სრულიად მართალია

ლონდონი. 11 ივნისი. უკეთებს რა კომენტარიებს რუსეთის პასუხს კერზონის უკანასკნელ მემორანდუმზე, ამერიკის დემოკრატიულ გაზეთის „ნიუ-იორკ უორლდას“ კორესპონდენტი ეხება პროპაგანდის საკითხს და სწერს: „როგორც მოსალოდნელიც იყო, რუსეთის ნოტა აყენებს კონტრ-პრეტენზიებს ელჩთა გაწვევის საკითხშიო. სრულიად ნათელია, რომ რუსეთს არ შეუძლია გაიწვიოს თავისი წარმომადგენლები, სანამ საქმის გამორკვევა არ დამთავრებულა.

საკონტრიბუციო საკითხი

ინგლისის პოლიტიკურ წრეებში.

ლონდონი. 11 ივნისი. სარეპარაციო პრობლემის გარშემო სწარმოებს გაცხოველებული კამათი ინგლისის პოლიტიკურ წრეებში.

ინგლისი უფრო გარკვეულად გამოსთქვამს თავის აზრს.

ინგლისის მთავრობის ახალმა გამოსვლამ, უმრავლესობის აზრით, ბოლო უნდა მოუღოს ინგლისის გაურკვეველ პოლიტიკას. სარეპარაციო საკითხში ინგლისის კაბინეტის დღევანდელი სხდომის შედეგები ჯერ არ არის გამორკვეული.

პუანკარე ისევ ჯიუტობს.

ამტკიცებენ, რომ საფრანგეთის ელჩმა გადასცა კერზონს პუანკარეს წერილობითი განცხადება, რომელშიაც გამოსთქვამს თანხმობას მოკავშირეების მიერ შეთანხმებულ პასუხის გაცემაზე იმ პირობით, თუ ინგლისი მოითხოვს გერმანიისაგან პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტას რურში. განზრახულ კონფერენციაზე გერმანიას წარუდგენენ გეგმას, რომელიც საფრანგეთის მთავრობამ შეიმუშავა.

ბალდვინის გეგმა.

ბალდვინი ფიქრობს, რომ **ინგლისის მთავრობას არ შეუძლია ულტიმატიურად მოითხოვოს გერმანიისაგან პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტა**. ეს მოთხოვნილება უფრო მისაღებ ფორმაში უნდა წარედგინოს გერმანიას.

ამგვარად, ბალდვინის გეგმა მდგომარეობს შემდეგში: იმის მაგიერ, რომ მიიღოს დაპირება რურში პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ, საფრანგეთი აღიარებს სარეპარაციო საკითხის გადაჭრას. ინგლისის სქემას ინგლისის პრესა შენიშნავს, რომ ამ გეგმის წარმატება საეჭვოა, რადგან ინგლისის მთავრობის სარეპარაციო სქემა ბევრად არ განსხვავდება. ბონარ ლოუს სქემისაგან, რომელიც მიუღებელია საფრანგეთისათვის.

მუსოლინი საკონტრიბუციო საკითხის შესახებ.

ყველაფერს სხვას აბრალებს.

რომი. 8 ივნისი. დღეს მუსოლინმა საკონტრიბუციო საკითხისათვის მიძღვნილი სიტყვა წარმოსთქვა. **გერმანიას, განაცხადა მუსოლინმა,—შეუძლია და უნდა გადიხადოს კიდეც. იტალიას კი არ შეუძლია გადაიტანოს მეტი მსხვერპლი კონტრიბუციაზე უარის თქმით და არ შეუძლია დაეთანხმოს ბონარ-ლოუს პროექტს,** რომელიც არ იუქმებს ინგლისისათვის გადასახდელ იტალიის სამხედრო ვალებს და ნახევარზე მეტად ამცირებს იმ საკონტრიბუციო თანხას, რომელიც იტალიას გერმანიისაგან ერგება“.

„რურის ოკუპაცია სასარგებლოა“

მუსოლინმა დაუმატა, რომ რურის ოკუპაცია საფრანგეთის მიერ არ შეიძლება სავსებით მოწონებულ იქნეს. მაგრამ ის სასარგებლოა იმ მხრივ, რომ მან გაამწვავა საკონტრიბუციო საკითხი და გამოიწვია მისი სრულ მასშტაბით გადაწყვეტა.

ფრანგ სერჟანტების მოკვლა

ბერლინი. 11 ივნისი. დორტმუნდში **გამოცხადებულია საალყო წესები ფრანგ სერჟანტების მოკვლის გამო. პოლიციის პრეფექტი და ბურგომისტრი დააპატიმრეს მკვლელობის აღმოჩენამდე.** რადგანაც ამ მკვლელობას ადგილი აქვს იმ დროს, როდესაც მოკავშირეებს შორის ირჩევა საკითხი პასიური წინააღმდეგობის შესახებ, ამ ფაქტს უცქერიან, როგორც საფრანგეთის თვალსაზრისის განმტკიცებას, რომელიც აღიარებს, რომ უშედეგო იქნება კონფერენცია საკონტრიბუციო საკითხის შესახებ, თუ წინასწარ არ იქნება შეწყვეტილი პასიური წინააღმდეგობა. გერმანიის გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მომავალში უფრო ძნელი იქნება ასეთი ტერორისტული აქტების თავიდან აცდენა, თუ რურის ჩაგრულ მოსახლეობას მოუსპობენ პასიურ წინააღმდეგობის განხორციელების საშუალებას.

გერმანიის მთავრობის თვალსაზრისი.

დემოკრატიული გაზეთის „ბერლინერ ცეიტუნგის“ ცნობით, გერმანიის მთავრობის თვალსაზრისი ორივე მხარესათვის სავალდებულო დროებითი ზავის შესახებ ასეთია:

ფრანგები და ბელგიელები მოლაპარაკეის დასრულებამდე ხელს იღებენ რეპრესიულ ზომებზე და რურის ოლქიდან მცხოვრებლების გადასახლებაზე. **გერმანიის მთავრობა უარს ამბობს რურის ოლქის მცხოვრებთათვის სპეციალურ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევაზე.**

„კუნო შედგა მოლიპულ გზაზე“.

გერმანიის მემარჯვენე წრეები უკმაყოფილო არიან მით, რომ მთავრობა მზად არის წავიდეს დათმობაზე პასიური წინააღმდეგობის საკითხში და აფრთხილებენ კუნოს, რომ ის შედგა მოლიპულ გზაზე, რომელიც შეიძლება კრახით დამთავრდეს.

უკმაყოფილო არიან პუანკარეს შეურიგებლობით.

ბერლინი 13 ივნისი. საფრანგეთის მთავრობის შეუძლებლობა უკმაყოფილებას იწვევს ლონდონის პოლიტიკურ წრეებში. ეხება რა საფრანგეთ ინგლისის შეთანხმების შესაძლებლობას საკონტრიბუციო საკითხის შესახებ, ოფიციალური „დეილი ტელეგრაფი“ პესიმისტურად უყურებს ამ შეთანხმების შესაძლებლობას.

გამოსავალს ეძებენ.

ბერლინი. 13 ივნისი. იტალიის მთავრობას ჯერ კიდევ არ გამოურკვევია თავისი პოზიცია საკონტრიბუციო საკითხში, მაგრამ იტალიის კაბინეტი, როგორც ლონდონის მთავრობა, ფიქრობს გამოძებნოს საშუალება საფრანგეთის და გერმანიის მთავრობების თვალთახედვის შეთანხმებისათვის.

ჟასპარის განცხადება.

ბერლინი 13 ივნისი. ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ჟასპარმა, პარლამენტში განაცხადა: **„ჩვენ გავალთ რურიდან, როდესაც ჩვენ გადაგვიხდიან კონტრიბუციას და მოლაპარაკებას ვაწარმოებთ გერმანიასთან მის შემდეგ, როდესაც შეწყვეტილი იქნება პასიური წინააღმდეგობა“.**

იტალიის მთავრობის პოზიცია.

რომი. 13 ივნისი. საგარეო საქმეთა სამინისტროს წრეებში აცხადებენ, რომ ჯერ კიდევ არაფერი გადაწყვეტილება არ არის მიღებული გერმანიის ნოტის შესახებ. მოსალოდნელია, რომ პასიურ წინააღმდეგობის საკითხში, იტალია საშუალო პოზიციას დაიჭერს ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკის შუა. საფრანგეთის საელჩო რომში იმედს გამოსთქვამს, რომ პასიურ წინააღმდეგობის საკითხში იტალიის მთავრობა დახმარებას გაუწევს საფრანგეთის კაბინეტს.

ამერიკელები კრიტიკას უკეთებენ პუანკარეს მოთხოვნილებებს.

ბერლინი. 13 ივნისი. „დეილი ტელეგრაფის“ ცნობებით, ამერიკის ფინანსიური წრეები კრიტიკას უკეთებენ გერმანიის წინააღმდეგ მიმართულ პუანკარეს მოთხოვნილებებს და ფიქრობენ, რომ გერმანიას უფლება აქვს მოითხოვოს თავისთვის დათმობა რურში პასიური წინააღმდეგობის მოსპობის სამაგიეროდ.

რურის ოლქის ოკუპაცია

გაძარცვეს უმუშევარნიც.

ბერლინი. 11 ივნისი. ლიმბურგში ფრანგებმა ხელთ იგდეს 2 ნახ. მილიარდი მარკა უმუშევართა ფონდიდან.

სისხლიანი ტერორი.

ბერლინი. 13 ივნისი. **რეკკვინგაუზენში სისხლიანი ტერორი მეფობს. ხიზნელის დადგომის შემდეგ საფრანგეთის ჯარისკაცები ესვრიან არა მარტო ქუჩებზე მიმავალ მცხოვრებლებს, არამედ იმათაც ვინც აივანზე და ოთახებში ზიან.**

ხვრეტენ სასამართლოს გარეშე.

ბერლინი. 13 ივნისი. დორტმუნდში, მიუხედავად სიწყნარის ჩამოვარდნისა, საალყო წესები მაინც არ არის მოხსნილი. საფრანგეთის ხელისუფლები სასამართლოს გარეშე ხვრეტას და მასიურ დატუსაღებებს აწარმოებენ.

აფეთქება რკინის გზაზე.

პარიზი. 13 ივნისი. კელნში ყუმბარა ესროლეს მიმავალ ორთქლმავალს. აფეთქების მიერ გაფუჭებულია გზა. ყუმბარების მიერ აფეთქებულია აგრეთვე რკინის გზის ხაზი დიუსელდორფის რაიონში.

ფულის თანხების ხელში ჩაგდება.

პარიზი. 13 ივნისი. დორტმუნდში ფრანგებმა ხელში ჩაიგდეს 40 მილიარდი მარკა.

საბაჟო შემოფარგვლას აძლიერებენ.

პარიზი. 13 ივნისი. კობლენციდან მიცემულ ცნობების თანახმად, რეინლანდის უმაღლეს კომისიის უკანასკნელი განკარგულებით ოკუპაცია ქმნილ ოლქების საბაჟოებით შემოფარგვლა კიდევ უფრო ძლიერდება.

სამხედრო გადატრიალება ბულგარეთში

ჯერ სიწყნარეა.

ლონდონი. 10 ივნისი. მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რომ გადატრიალება უსისხლოდ მოხდა. ბულგარეთის ყველა საზღვრები შეკრულია. ცნობები ვითომც მობილიზაცია გამოცხადებულიყოს, ოფიციალურად უარყოფილია. ახალი მთავრობის განცხადებით სოფიაში და საერთოდ მთელს ბულგარეთში სრული სიწყნარეა.

ბულგარეთის ახალი პრემიერი.

ლიფილდი. 11 ივნისი. ბულგარეთის მიწად-მოქმედების მინისტრმა ვლადიმერ მოლლოვმა, რომელიც გენერალ პროტოგეროვთან ერთად ბულგარეთის გარედ იმყოფება, საუბრის დროს, განაცხადა: ბულგარეთის ახალი პრემიერი ალექსანდრე ცანკოვი ენერგიული ადამიანია და გარკვეული კონსერვატორი. ის არ უნდა აჰრიოთ იმისი ძმა არსენთან, რომელიც სოციალისტების დეპუტატათ იყო. ომიანობის დროს ცანკოვი სტამბულოვსკის მეგობრობდა, თუმცა ბოლოს ჩამოშორდა და შექმნა ოპოზიციური პარტია. ეროვნული კავშირის სახელწოდებით. ეს გადატრიალება თვეობით მზადდებოდა. ყოველივე წვრილმანიც კი გათვალისწინებული იყო. ყველა მინისტრები მაშინვე დაატუსაღეს ზოგი თავის ბინაზე, ზოგიც სხდომებზე.

ბულგარეთის მოსახლეობა კმაყოფილია გადატრიალებით, ალბად სტამბულოვსკის მომხრე გლეხობის გარდა.

მოლლოვი დღეს მიემგზავრება სოფიაში გენერალ პროტოგეროვის თანხლებით, რათა მონაწილეობა მიიღოს ახალი მთავრობის ორგანიზაციაში.

მთავრობის ნაბიჯები.

ვენა. 11 ივნისი. ბულგარეთის ახალმა მთავრობამ აკრძალა ყოველგვარი პარტიული ბლოკი, მათ შორის ლიბერალებისა და სოციალ-დემოკრატებისაც. ახალი მთავრობის მდგომარეობა მკვიდრი არ არის. გლეხკაცობა და მუშები—მაშასადამე მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ახალი მთავრობის წინააღმდეგაა განწყობილი. **მთავრობას ემხრობა მრეწველი ბურჟუაზია. ნაწილობრივ ინტელიგენცია და სამხედრო წრეები.**

სასწრაფო გადატრიალება.

ბერლინი. 11 ივნისი. უკანასკნელი დეპეშები სოფიიდან იტყობინებიან, რომ გადატრიალება მოხდა ერთნახევარ საათის განმავლობაში. მეფემ ხელი მოაწერა 3 დეკრეტს: **სტამბულინსკის კაბინეტის გადადგომისა, ახალი მთავრობის დანიშვნისა და ეროვნულ კრების დაშლის შესახებ.**

ლოზანას კონფერენცია

არავითარი დათმობა მოკავშირეებს.

ლონდონი. 11 ივნისი. ანგორიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ეროვნულმა კრებამ გაუგზავნა ისმეთ-ფაშას ლოზანაში ახალი ინსტრუქციები, რომლის ძალითაც მან თავი უნდა შეიკავოს ყოველგვარ დათმობისაგან მოკავშირეებისათვის ოსმალეთის ვალის საკითხში.

იტალიის მდგომარეობა

მუსოლინის მოხსენება იტალიის საგარეო პოლიტიკის შესახებ.

იტალია დაინტერესებულია ვაჭრობის აღდგენით აღმოსავლეთთან.

რომი. 11 ივნისი. გუშინ სენატში მუსოლინიმ სიტყვა წარმოსთქვა იტალიის საგარეო პოლიტიკის შესახებ. „იტალია, განაცხადა მუსოლინიმ, თანახმაა მისცეს სესხი უნგრეთსა და ავსტრიას, რადგან ის დაინტერესებულია აღმოსავლეთთან ნორმალურ სავაჭრო დამოკიდებულებათა ჩქარი აღდგენით.

იტალიას სჭირია რუსეთთან ფართო შეთანხმება.

შეეხო რა რუსეთთან დამოკიდებულებას, მუსოლინიმ განაცხადა, რომ ეს უკანასკნელი განსაზღვრულია 1921 წლის პრელიმინალურ ხელშეკრულებით, რომელიც ამ დღეებში წარდგენილი იქნება პარლამენტში დასამტკიცებლად. ხელშეკრულების პრაქტიკულად გამოყენების დროს წარმოსდგა დაბრკოლებანი, რომელნიც საბაბად გახდენ რუსეთისათვის ხელშეკრულების დარღვევისათვის: იტალიის მთავრობა ზომებს მიიღებს, აღმოცენებულ დაბრკოლებათა თავიდან ასაცილებლად და ნიადაგის მოსამზადებლად რუსეთთან უფრო ფართო შეთანხმების მისაღწევად.

რუსეთი და ამერიკა

ამერიკის და რუსეთის დაახლოვებისათვის.

მოსკოვი. 12 ივნისი. მოსკოვში ჩამოვიდა ამერიკელი სენატორი ბრუკ გარდს, პროგრესიულ ბლოკის ერთ-ერთი გამოჩენილი წევრთაგანი, რომელიც მომხრეა რუსეთთან სავაჭრო დაახლოვების. ჩამოსვლის მიზანია—გაეცნოს რუსეთის მრეწველობის, მოსავალის მდგომარეობას და აგრეთვე რუსეთის კოოპერაციულ მოძრაობას. ბრუკგარდს თან ახლავან ამერიკის ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტროს ორი წარმომადგენელი.

რუსეთი და საფრანგეთი

სამეგობრო კილო მარსელის გაზეთებისა.

პარიზი. 11 ივნისი. მარსელის ყველა გაზეთები ვრცელ ცნობებს ათავსებენ უსტინოვის მისიის შესახებ. წერილებს მეგობრული კილო აქვს.

პირველი ნაბიჯი.

პარიზი. 11 ივნისი. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს უსტინოვმა განაცხადა, რომ წითელი ჯვრის ჩვენი მისიის საფრანგეთში ჩამოსვლა არის პირველი ნაბიჯი საფრანგეთს და რუსეთს შორის პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობის განახლებისაკენ, რითაც ერთნაირად არის დაინტერესებული თვითეული მხარე.

რუსეთი და იაპონია

რა სურს იაპონიას.

ლონდონი. 11 ივნისი. გუშინ ოქსფორდში იაპონიის ელჩმა ხაიაშიმ განაცხადა: რუსეთმა შემთხვევით დაიპყრო ციმბირი, მას უფლება არა აქვს მხოლოდ თვითონ ისარგებლოს მისი სიმდიდრით. რუსეთმა ყველას უნდა გაუხსნას გზა ციმბირის სიმდიდრით სარგებლობისათვის.

საქართველოს წარმოებითი პროფკავშირების საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, 15 ივნისისთვის მოწვეულია

სრულიად საქართველოს პროფკავშირების მე-3 ყრილობა

ყრილობის წესრიგი:

1. საერთაშორისო მდგომარეობა.
2. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს და სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატის საქართველოში მყოფ რწმუნებულის მოღვაწეობის ანგარიში და მისი უახლოესი მიზნები შრომის დარგში.
4. საორგანიზაციო საკითხები.
5. სატარიფო საკითხი.
6. კულტურის საკითხი.
7. მრეწველობის მდგომარეობა და მისი პერსპექტივები.
8. მუშათა კოოპერაციის მდგომარეობა და მისი პერსპექტივები.
9. არჩევნები საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიისა.

ყრილობის დელეგატებს წინადადება ეძლევათ თან წამოიღონ ადგილობრივი მუშაობის მდგომარეობის სისწორით დამსურათებელი მასალები.

„კომუნისტი“-ს რედაქცია

გადავიდა

ახალ ბინაზე: რუსთაველის პროსპექტი, 24, მეორე სართული (მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყოფილი ბინა).

სხვადასხვა ამბები

ბულგარეთის კომუნისტების კონფერენცია.

ვენა. 11 ივნისი. 17 ივნისისათვის სოფიაში მოწვეულია ბულგარეთის კომუნისტების 7 კონფერენცია. დღის წესრიგში სდგას საკითხები: 1) მოხსენება ქალთა შორის მუშაობის შესახებ: 2) მოხსენება კომინტერნის კონგრესის შესახებ და 3) ქალთა ახალ სამდივნოს არჩევნები.

საფრანგეთი

გელლეინის გადასახლება.

ბერლინი. 11 ივნისი. ფრანგების მიერ დაპატიმრებული გერმანელი კომუნისტი გელლეინი გაანთავისუფლეს და გაგზავნეს გერმანიის საზღვრებისაკენ.

გერმანია

საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების კონგრესი მღელვარედ მიმდინარეობს.

ბერლინი. 11 ივნისი. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების კონგრესი გლეივიცში მღელვარედ მიმდინარეობს. იმ საფაბრიკო საქარხნო კომიტეტების წარმომადგენლები, რომელნიც გონებრივ და ფიზიკურ შრომის მუშების კავშირებს ემხრობიან, არ არიან დაშვებული კონგრესზე. ლანდტაგის დეპუტატმა, სოციალ-დემოკრატმა ფრანცმა თავის მოხსენებაში ირონიული გამოთქმები იხმარა რუსეთის მიმართ, რამაც **დამსწრეთა მღელვარე პროტესტი გამოიწვია.** კონგრესიდან გამორიცხულმა მემარცხენე საფაბრიკო—საქარხნო კომიტეტების წევრებმა ძალით დაიჭირეს დარბაზის დერეფანი. ამასთან დაკავშირებით მემარჯვენეების მხრიდან შემოვიდა წინადადება იმის შესახებ, რომ გერმანიის პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების მომხრე საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების წევრებმა დასტოვონ კონგრესი. ეს მოთხოვნილება შეასრულეს მხოლოდ ზოგიერთმა დელეგატებმა. დანარჩენებმა მემარცხენეებთან ერთად გახსნეს ახალი კონგრესი.

კომუნისტების ხმები იზრდება.

ბერლინი. 11 ივნისი. ოლდენბურგის ლანდტაგის არჩევნებში კომუნისტებმა მიიღეს 11,000 ხმა მაშინ, როდესაც უკანასკნელ არჩევნებში მიიღეს მხოლოდ 2 673 ხმა. კომუნისტებმა ამ ახალი არჩევნებით მიიღეს ორი ახალი ადგილი გაერთიანებულ სოციალისტების ხარჯზე. გერმანიის ნაციონალისტები მიიღებენ ადგილებს სახალხო პარტიის ხარჯზე. დემოკრატებმა ცენტრის ხარჯზე მიიღეს ახალი ადგილები.

ავსტრია

კომუნისტების გამარჯვება.

ლონდონი. 11 ივნისი. სამხრეთ უელსის მუშათა პარტიის წლიურ კონგრესზე პარლამენტის პარტიამ, რომელიც ძველ აღმასრულებელ კომიტეტში ბატონობდა, დამარცხება განიცადა. კომუნისტები დაშვებული არიან მუშათა პარტიის რიგებში როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია იმ პირობით, თუ დაცული იქნება მუშათა პარტიის წესდება, მაგრამ პროპაგანდის სრული თავისუფლების შენარჩუნებით.

იტალია

შეიძლება გამოგდებულ იქნენ კომუნისტები—მაგრამ არა კომუნიზმი.

რომი. 11 ივნისი. იტალიის პარლამენტის დღევანდელ სხდომაზე ფაშისტების დეპუტატი ჯიუტო შეეხო ბომბაჩის გუშინდელ შეკითხვას ტრიესტიდან „ლაბარატორეს“ (კომუნისტების მუშათა ორგანო ფიუმეში) ორ თანამშრომლის გადასახლების შესახებ და განაცხადა: „ბომბაჩი არ უნდა მიეცეს ილიუზიებს, თითქოს კომუნისტებს ჰქონდეთ მოქალაქეობის უფლება იტალიაში. გაზეთი „ლაბორატორე“—ეს აჯანყებულ სლავიანების ორგანო, ჩვენ მტკიცეთ გადავწყვიტეთ გავანადგუროთ. იტალიაში ბატონობენ ფაშისტები, რომელნიც სტუმართმოყვარეობას არ გაუწევენ სლავიანურ კომუნიზმს“.

წინანდებურად ავიწროებენ კომუნისტურ პრესას.

რომი. 11 ივნისი. აკვილში დაატუსაღეს „ლაბორატორეს“ თანამშრომელი ლეჩნე.

ჩინეთი.

ბატონობა სურთ ჩინეთში.

ლონდონი. 11 ივნისი. გუშინ ოქსფორდში იაპონიის ელჩმა ხაიაშიმ განაცხადა, რომ უცხო სახელმწიფოებმა ერთად უნდა განიხილონ საკითხი ჩინეთში წესრიგის აღდგენისათვის საუკეთესო საშუალების გამონახვის შესახებ, რადგან ჩინელებს თითონ არ შეუძლიანთ წესრიგის აღდგენა.

სამხრეთ-სლავია.

ეფიქრებათ ბულგარეთს ახალი მთავრობის მტრული განწყობილებისა.

ვენა. 11 ივნისი. ბელგრადიდან მიღებულის ცნობებით, სამხრეთ-სლავიის მთავრობა შიშობს, რომ ბულგარეთის ახალი მთავრობა სამტროდ იქნება განწყობილი სამხრეთ-სლავიის მიმართ, წინააღმდეგ სტამბულინსკის მთავრობისა, რომელიც სამხრეთ-სლავიის მომხრე იყო. ახალი მთავრობა შეეცდება დაარღვიოს ბულგარეთსა და სამხრეთ-სლავიის შორის დადებული ხელშეკრულება. სამხრეთ-სლავიის გარნიზონი ბულგარეთის საზღვრებზე გააძლიერეს.

სტამბოლში.

რომი. 13 ივნისი. სტამბოლში მოხდა შეტაკება ოსმალეთის და ინგლისის პოლიციის შორის, რომელიც გამოიწვია ინგლისის პოლიციის მიერ ოსმალეთის ქვეშევრდომის დაპატიმრებამ. ამის გამო გენერალმა გარინგტონმა მოითხოვა დირექტივები ინგლისის მთავრობისაგან.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

კოოპერატივებში 65 პროც. კომუნისტებია.

ცარიცინი. 11 ივნისი. გუბერნიაში დამთავრებულ ხელახალი არჩევნების შემდეგ არჩეულია 65 პროც. კომუნისტი ერთიან კოოპერატივის გამგეობაში.

ოქროს სესხის გასავრცელებლად.

ხარკოვი. 11 ივნისი. ოქროს სესხის მაქსიმალურად გავრცელების მიზნით უკრაინაში არსდება ადგილებზე სათემო სამეულები. სახ. კომისართა საბჭო რუსეთის პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს სამხრეთის ბიუროსთან ერთად იმუშავებს ცირკულიარს პროფკავშირთა წევრების მიერ ობლიგაციების შეძენის შესახებ შემდეგი ლოზუნგის ქვეშ: „თვითეული ხუთ მანეთიანი ობლიგაცია თვითეულ კავშირის წევრზე“.

საჰაერო ფლოტის დახმარების დღე.

ჩერნიგოვი. 11 ივნისი. დიდი წარმატებით ჩატარდა საჰაერო ფლოტის დახმარების დღე ქალაქის მცხოვრებთა ახლო მდებარე სოფლების გლეხთა მონაწილეობით. გადასწყდა გუბერნიის ხარჯზე აშენებულ იქნას მინიმუმ ერთი ჰაეროპლანი.

დროშების გაცვლა-გამოცვლა.

მოსკოვი. 11 ივნისი. ბერლინის ახალგაზრდათა კომკავშირმა გამოუგზავნა რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის ცეკას ბრძოლის დროშა რომელიც ფრიალებდა კარლოს ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის საფლავებზე. რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის ცეკა თავის მხრივ უგზავნის დროშას ახალგაზრდათა კომკავშირის ბერლინის კომიტეტს.

კომინტერნის კოოპერატიულ სექციაში.

მოსკოვი. 11 ივნისი. გაიმართა კომინტერნის კოოპერატიულ სექციის გაფართოებული სხდომა კომინტერნის პლენუმის დელეგატთა მონაწილეობით. იტალიის დელეგატებმა აღნიშნეს იტალიის კომუნისტების გმირული მუშაობა კოოპერაციის დარგში. ამას წინად მომხდარ არჩევნებში კოოპერატივთა მუშა-წევრები აძლევდენ თავიანთ ხმებს კომუნისტურ პარტიის კანდიდატებს. დელეგატების აზრით კოოპერაცია, ლეგალურ მუშაობის შესაძლებლობის მომენტში, იქნება იტალიის კომუნისტურ მოძრაობის მტკიცე საყრდნობი. ინგლისის დელეგაციამ აღნიშნა ამ უკანასკნელ ხანებში შემჩნეული ინგლისის კოოპერატიული მოძრაობის ზრდა. კოოპერაციის დარგში კომუნისტური გავლენის ზრდას აღნიშნავდა აგრეთვე შვეიცარიის დელეგაცია.

სათესი მინდორი 60 პროცენტით გაიზარდა.

ზლატოუსტი. 10 ივნისი. შარშანდელთან შედარებით ნათესობით დაფარული მიწის რაოდენობა 60 პროცენტით გადიდდა. ყველა მაზრებში თესვა თავდება.

საყდრის ზარების გონივრული გამოყენება.

ზლატოუსტი. 10 ივნისი. ბევრს სოფლებში გლეხებმა ჰოხსნეს საყდრის ზარები და გაყიდეს. აღებული თანხა ჰხმარდება სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებას და სკოლებს.

პურის სესხი წარმატებით მიდის.

ზლატოუსტი. 10 ივნისი. პურის სესხზე ხელის მოწერა წარმატებით სწარმოებს. ბევრი გლეხები თხოულობენ პურის სესხის ობლიგაციებს.

ვარაუდს გადააჭარბა.

ოდესა. 10 ივნისი. ოდესაში მარილის მრეწველობამ ნავარაუდევ 145 პროც. გადააჭარბა. დამზადებული 3.500.000 ფუთზე მეტი მარილი. თადარიგს შეუდგნენ მარილის გასაზიდათ საზღვარგარეთ.

ახალი რადიო სადგური.

ოდესა. 10 ივნისი. ფეოდოსიასა და ტუაპსეში სახელმწიფო ნავოსნობის განყოფილება ახალ რადიოსადგურს აშენებს.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმის სხდომის გახსნა

მოსკოვი. 13 ივნისი. გუშინ, საღამოს 1 საათზე ანდრიას დიდ დარბაზში გაიხსნა კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტის გაფართოვებულ პლენუმის სხდომა. თავმჯდომარეობს ამხ. ზინოვიევი. პრეზიდიუმში არიან: ამხ. ტროცკი (რუსეთი), შმერალი (ჩეხო-სლოვაკია), ჯეიარი (სიცილია), გალახერი (ინგლისი), ტრამელი და ხეგლუნდი (სკანდინავია), ბეტლერი და ცეტკინი (გერმანია), ტიბო (საფრანგეთი) ამპერი (ამერიკა), კოლაროვი (ბალკანეთი), როი (ინდოეთი), ფალკი (ნორვეგია) კატაიამა (აღმოსავლეთი). ამხ. ზინოვიევის წინადადებით პლენუმმა კომინტერნის საპატიო თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია ამხ. ლენინი. აირჩიეს კომისიები: პოლიტიკური,—ცენტრალურ სამმართველოს საკითხისათვის, კომინტერნის პროგრამისა: კოოპერაციისა, ქალთა საკითხისა; კომისიები იტალიისა, ბალკანეთისა, ავსტრიისა, ჰოლანდიისა და შვეიცარიის საკითხებისათვის.

პროფკავშირთა მესამე ყრილობისათვის

საქართველოს პროფკავშირთა მესამე ყრილობა, რომელიც შეიკრიბება ა. წ. ივნისის 15 ჩვეულებრივათ ჯამს გაუკეთებს განვლილ მოღვაწეობას, სათანადოთ გამოიყენებს წარსულში ჩადენილ შეცდომებს და გატარებულ მიღწევებს და გამოიმუშავებს ახალ ყრილობამდი მუშაობის სამოქმედო პროგრამას.

გასულ საანგარიშო წელს პროფკავშირების ცხოვრებაში მრავალ ღირსშესანიშნავ მომენტს ჰქონდა ადგილი. ამ წელს მოხდა ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით, კავშირების ახალ რელსებზე გადაყვანა. ის წინეთ, თუ მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს დამხმარე ორგანოს წარმოადგენდა და წარმოების მართვა გამგეობაში უშუალო მონაწილეობას იღებდა, ახლა მუშათა კლასის კლასიურ ორგანიზაციების ფუნქციებს დაუბრუნდა. ეს ესეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემდეგ მას საქმე აქვს არა მარტო სახელმწიფო მეურნეობასთან, არამედ კერძო ვაჭრებთან და მრეწველებთანაც.

პროფკავშირთა მიზან-ამოცანებიც ამის და მიხედვით შეიცვალა. ეს მიზან-ამოცანები დღეს ერთი და იგივე არაა სახელმწიფო და კერძო წარმოებაში. სახელმწიფო წარმოებაში მუშა მხოლოდ ბიუროკრატიულ სიმახინჯეს ებრძვის და ბრძოლის ფორმებიც სულ სხვა აქვს, ვიდრე კერძოში. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მუშათა კლასი ვერ ილაპარაკებს სახელმწიფოზე როგორც თავის მოწინააღმდეგე ძალაზე, მას აქ საქმე აქვს ასე ვსთქვათ თავისთავთან. სულ სხვაა კერძო წარმოება, სადაც მუშას ვაჭარ-კაპიტალისტების ექსპლოატაციასთან აქვს საქმე. ამიტომაც მან აქ აღადგინა კლასიური ბრძოლის ძველი ფორმები და მეთოდები.

ამ გარემოებამ გამოიწვია კავშირებს საორგანიზაციო სტრუქტურის ახ. ეკ. პოლიტიკით შექმნილ პირობებთან შეფარდებით შეცვლა. შეიქნა კავშირებთან ახალი განყოფილებები, დაარსდა შრომის დაცვის ახალი ორგანოები, აღსდგა საკონფლიქტო და სამომრიგებლო ორგანიზაციები და მუშაობის ცენტრი ერთი ადგილიდან მეორე ადგილას იქნა გადატანილი.

მაგრამ იმდენათ ძლიერი შეიქნა მუშურ-გლეხური ხელისუფლება და იმდენათ დიდი გავლენა აღმოაჩნდა თვით პროფორგანიზაციებს, რომ მუშათა კლასს, ბრძოლის უკიდურეს საშუალებების გამოჩენა აღარ დასჭირვებია. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ შრომის კანონმდებლობა თვით მუშათა კლასის ხელშია და ყოველგვარ ტარიფის და წესება პროფმოძრაობის უმაღლეს შტაბის ს. პ. კ. ს. უ ხლოეს მონაწილეობითა და კანტროლის ქვეშ სწარმოებს.

სავალალო და საბრძოლველი ამ შემთხვევაში კერძო ვაჭარ-კაპიტალისტებს ჰქონდათ, მაგრამ ისინი წინააღმდეგობას ვერ ბედავდენ, მიუხედავათ იმისა, რომ ბოლომით იყვენ სავსე და კანონებზე ქირდულათ და მალულათ გვერდის ავლით, ფიქრობდენ ფონს გასვლას, თუმცა აქაც მწარეთ მოსტყუვდენ და შრომის დაცვის ორგანოების სიფხიზლის წყალობით ვერაფერი გააწყვეს.

მუშათა კლასის კლასიურ ინტერესების დაცვის ფუნქციებზე გადასულმა პროფორგანიზაციებმა ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში მართლადაც კარგად დაიცვეს მუშათა ინტერესები და თავიანთი მხნე და ენერგიული მუშაობის წყალობით მუშათა კლასის მდგომარეობა საგრძნობლათ და შესამჩნევათ გააუმჯობესს. 1921 წელსა და 1922 წლის პირველ ნახევარში თუ მუშა პირდაპირ დამშეული იყო 1922 წლის მეორე ნახევარსა და 1923 წელში ის დაპურდა, შეიმოსა და მისი ხელფასი საცხოვრებელ მინიმუმს დაუახლოვდა. ახლა ის უკვე იღებს მის წინანდელ ხანასთან შედარებით შრომის ხელფასის 66 პროც. ეს შრომის ხელფასში დიდი მიღწევაა.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემდეგ შრომასა და მწარმოებელს შორის (მიუხედავათ იმისა მწარმოებელი კერძო კაპიტალისტია თუ სახელმწიფოს ორგანო) ურთიერთობა განსაზღვრულ იქმნა კოლექტიურ ხელშეკრულებით. კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების კამპანია უკვე მოსრულდა საანგარიშო წლის განმავლობაში და დღეს ყოველ წარმოებასა და დაწესებულებაში დადებულია ასეთი ხელშეკრულება. კოლექტიური ხელშეკრულებით განსაზღვრულ იქმნა არა მარტო მუშის შრომის ხელფასი, არამედ საერთოდ სამუშაო პირობებიც.

შრომის ხელფასის გადიდებასთან ერთად პროპორციონალურათ გაიზარდა შრომის ნაყოფიერებაც. თუ არ მივიღებთ მხედველობაში საწარმოო იარაღების გაცვეთისაგან შრომის ნაყოფიერების ბუნებრივ დაცემას 30—40 პროც. პროც., შრომის ნაყოფიერება ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში შრომის ხელფასის აწევის წყალობით საგრძნობლათ გაიზარდა და ან ომის წინანდელ ხანასაც კი გადააჭარბა. აქ უადგილო არ იქნება მოვიყვანოთ ერთი პატარა ცხრილი საიდანაც ნათლად სჩანს, რამდენი პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება ახ. ეკ. პოლიტიკის პირობებში და ნამეტურ კოლექტიურ ხელშეკრულების დადების შემდეგ.

საქართველოს წარმოებებში შრომის ინტენსიურობა 1921—1922 წ.
(შედარებითი ციფრებში)

წარმოებების სახელი	შრომის ნაყოფიერება			
	1913 წ.	1921 წ.	1922 წ: კოლექტიური ხელშეკრ.	1922 წ: ხელშეკრულ. შემდეგ
1	2	3	4	5
სამთო	*)	100%	100%	113%
ლითონის	**)	100 „	150 „	200 „
თუთუნის	100%	114 „	128 „	145 „
მეტყავეთა	100 „	25 „	60 „	100 „
პოლიგრაფიული . .	100 „	50 „	75 „	104,5 „
ფეიქართა	100 „	40 „	55 „	81 „
ხის დამმუშავებელთა.	100 „	55 „	72 „	93 „
მკერავები	100 „	50 „	68 „	90 „
კოაუნ. წარმ. ტრამვაი.	100 „	50 „	62,5 „	84 „
ქიმიური	100 „	25 „	45 „	80 „

საანგარიშო ხნის განმავლობაში ფხიზლათ იყო და მხნე მუშაობას ეწეოდა ს. პ. კ. ს. არსებული შრომის დაცვის განყოფილებაც. ეს განყოფილება და მისი კავშირებთან არსებული ადგილობრივი ორგანოები ერთგულ დარაჯათ დაუდგენ კოლექტიურ ხელშეკრულებებს და დიდ ყურადღებას აქცევდენ, რომ ისინი არ დარღვეულიყვნენ მწარმოებლების მხრივ. განყოფილებამ დაათვალიერა და გამოიკვლია შრომის პირობების დაცვის მხრივ მთელი რიგი წარმოებები და ენერგიული ზომები მიიღო შენიშნულ დეფექტების გასასწორებლათ. მასთან არსებობდა სამი ინსპექცია: შრომის, სანიტარული და ტეხნიკური. მუშაობის დამახასიათებელი ცხრილებიც:

შრომის დაცვის განყოფილებასთან არსებობდა მუშათა ცხოვრების გაუმჯობესების ქვე-განყოფილება. ეს ქვე-განყოფილება უმთავრესად იმარაგებდა და ურიგებდა მუშებს საწარმოო ტანისამოსს ფეხსაცმელებს და სხვა. საანგარიშო ხნის განმავლობაში ქვე-განყოფილებამ დაურიგა მუშებს შემდეგი რაოდენობის ფეხსაცმელები და ტანისამოსი.

პროფ-გაერთიანებებს და სხვა ორგანიზაციებს მიეცათ:

კავშირებს	ტანთ-საცმელი	საცვალი	ფეხსაც-მელი	ტყავის ტანისაც.	ქუდ.	წინდები	ხალათი	წინსაფ.
ბათომის პრ. კ. საბჭოს. .	680 ც.	415 წყ.	186 წყ.	—	—	—	—	—
აფხაზეთის პრ. კ. საბჭოს .	125 „	100 „	10 „	3	10	20	—	—
სამხრეთ ოსეთის პრ. კ. საბჭ.	89 „	45 „	13 „	—	7	—	—	—
ქუთაისის სარ. პრ. კ. საბჭოს	712 „	356 „	250 „	1	10	—	—	—
ჭიათურის სამდივნოს . . .	130 „	115 „	—	—	2	—	—	—
ოზურგეთის სამაზ. პრ. ბიურ.	296 „	148 „	114 „	—	—	—	—	—
ახალციხის „ „	131 „	68 „	51 „	—	3	2	—	—
შორაპნის „ „	252 „	128 „	93 „	—	—	—	—	—
ლეჩხუმის „ „	144 „	75 „	31 „	—	—	—	—	—
ბორჯომის „ „	200 „	200 „	70 „	—	—	—	—	—
ფოთის „ „	188 „	104 „	63 „	—	10	—	—	—
ბორჩალოს „ „	142 „	71 „	31 „	—	3	—	—	—
გორის „ „	308 „	154 „	110 „	—	5	—	—	—
სიღნაღის „ „	239 „	120 „	2 „	—	—	—	—	—
ზუგდიდის „ „	280 „	163 „	4 „	—	5	—	—	—
თიანეთის „ „	89 „	45 „	30 „	—	—	—	—	—
დუშეთის „ „	385 „	167 „	50 „	—	7	—	—	—
სენაკის „ „	244 „	125 „	88 „	—	1	—	—	—
ახალქალაქის „ „	102 „	51 „	—	—	—	—	—	—
თელავის „ „	212 „	106 „	81 „	—	5	—	—	—
რაჭის „ „	216 „	113 „	96 „	—	2	—	—	—
საქართვ. კომ. პარტ. ცეკას პარტ. სკოლისთვის . .	96 „	260 „	—	5	—	—	—	—
უმაღ. სახ. სამ. საბჭოს ბორჯომის სახელმ. მამულს.	414 „	200 „	100 „	—	—	—	—	—
მუშათა ფაკულტეტს. . .	200 „	350 „	40 „	(ტუჟ. და შარ. 20 მუშ. 10)				
ბათომის საზღვაო სასწავლ.	—	—	100 „	—	—	—	—	—
თბილისის ალმასკ კომ. განყ.	632 „	32 „	100 „	—	—	—	—	—
ჯამ.	6506	3712	1713	9	70	22	—	—

საანგარიშო წლის განმავლობაში უდიდესი ყურადღება მიექცა კულტურულ ფრონტსაც. ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლამ პირველ ხანებში ამ ფრონტზე ფინანსიურ მდგომარეობის მხრივ ერთობ მძიმეთ იმოქმედა. მაგრამ შემდეგ და შემდეგ ნამეტურ კოლექტიურ ხელშეკრულებებში 1 პროც. გადასახადის შეტანამ კულტმუშაობისათვის, ისევ ფეხზე დააყენა კულტგანყოფილებები.

ამ ფრონტზე მოღვაწეობა გამოიხატა წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლასა, საკლუბო, საბიბლიოთეკო, სასკოლო და სხვა მრავალ სახის მუშაობაში. ნამეტურ ნაყოფიერად ჩატარდა წერა-კითხვის უცოდინარეობასთან ბრძოლა. აი ცხრილიც პროფკავშირთა წევრების წერა-კითხვის უცოდინარობის შესახებ.

კავშირების დასახელება	წევრების საერთო რიცხვი	წერა-კითხ. მცოდნე	წერა-კითხ. უცოდინ.
სამთო მუშათა	131	100	7,9
მიწა ტყის	801	92,1	7,9
მელითონეთა	1933	93,1	6,5
ქიმიკოსთა	512	81,6	18,4
საგებ-საკვების	2570	80,8	19,2
ხის მასალ. დამამუშ. . . .	232	73,3	26,7
აღმშენებელთა	1736	68,9	31,8
მქსოველთა	457	75,1	24,9
მკერავთა	—	—	—
მბეჭდავთა	1013	97,9	2,1
მეტყავეთა . . : . .	999	77,8	22,2
ადგ. ტრანსპორტი . . .	2023	74,3	25,7
სახალხო გამოკვ	1135	88,3	11,7
საექიმო-სასანიტ. . . .	3015	93,6	6,4
კომუნ. მეურნ.	3865	72,0	28,0
ფოსტა-ტელეგრ. . . .	935	94,4	5,6
საბჭოთა მოსამს. . . .	5525	96,9	3,1
განათლების	3558	94,5	5,5
ხელოვნების მუშ. . . .	1673	97,8	2,2

ტფილისის მასშტაბით წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა უკვე დასრულდა და მსხვილ წარმოებასა და დაწესებულებებში დღეს წერა-კითხვის უცოდინარნი აღარ არიან. მაგრამ განყოფილება არ დაკმაყოფილდა მარტო წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლით და წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ მუშებს გაუხსნეს პირველი და მეორე საფეხურის სკოლები.

მუშათა ფართო მასების იდეოლოგიური დაპყრობა პროფკავშირების კულტურულ მუშაობით შეიძლება, ვინაიდან ამ ორგანიზაციაშია თავმოყრილი უმთავრესად მუშათა ფართო მასა. ამ ფრონტზე ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

აღსანიშნავია აგრეთვე მთელი საქართველოს მასშტაბით პროფორგანიზაციებში ჩატარებული კამპანიები: წევრთა გაწმენდის, თავისუფალ წევრობის, პროფინტერნისა და პროფმოძრაობის და სხვა მრავალი.

ასეთი იყო მოკლეთ და ერთი თვალის გადავლებით საანგარიშო ხნის განმავლობაში გაწეული ს. ს. კ. ს. და მის განყოფილებათა მუშაობა. რასაკვირველია მის მოღვაწეობაში იყო შეცდომები და დეფექტებიც, მაგრამ კიდევ უფრო მეტი იყო გამარჯვებანი და მიღწევანი.

ჩვენ ღრმათ გვწამს რომ პროფკავშირთა მესამე ყრილობა, გაუკეთებს რა ჯამს წარსულ მოღვაწეობას, მომავალში კიდევ უფრო შეადუღებს და გააფართოებს პროფმოძრაობასა და პროფორგანიზაციების მუშაობას.

პროფმუშაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფინტერნში

პროფინტერნის აღმასრულებელ ბიუროში.

აღმასრულებელ ბიუროს უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილი იყო მოხსენებები სხვა და სხვა სახელმწიფოებში კავშირების მდგომარეობის და მასთან ერთად ორგანიზაციული საკითხების შესახებ.

მომხსენებელმა საამშენებლო მრეწველობის მუშათა საერთაშორისო კონფერენციის შესახებ აღნიშნა, რომ საამშენებლო მრეწველობის მუშათა კავშირები, რომლებიც არ ემხრობიან ამსტერდამის ინტერნაციონალურ გაერთიანებას, არსებობენ შემდეგ სახელმწიფოებში: გერმანიაში, ბულგარეთში, საბერძნეთში, სპარსეთში, იუგო-სლავიაში, ჩრდ. ამერიკაში, ჩეხო-სლოვაკიაში და რუსეთში.

საფრანგეთის საამშენებლო მრეწველობის მუშათა კავშირმა, მიუხედავათ იმისა, რომ შედის შრომის უნიტარულ კონფედერაციაში და ამ გვარათ პროფინტერნშიაც, გადასწყვიტა, თავისი გამგეობის ზე-გავლენით, მიემხროს სინდიკალურ ინტერნაციონალს. მთელ რიგ ორგანიზაციულ და ტეხნიკურ საკითხების გადასაჭრელათ და აგრეთვე საფრანგეთის საამშენებლო მრეწველობის მუშათა კავშირის საქმის მოსაგვარებლათ მომხსენებელი მოითხოვს მოწვეულ იქნეს სექტემბერში საამშენებლო მრეწველობის რევოლიუციონურ მუშების საერთაშორისო კონფერენცია.

აღმასრულებელმა ბიურომ, მიიღო რა მომხსენებლის წინადადება, დაადგინა გადასცეს საკითხი კონფერენციის მოწვევის შესახებ პროფინტერნის საორგანიზაციო განყოფილებას, რომელიც დაწვრილებით განიხილავს მას საამშენებლო მრეწველობის მუშათა კავშირის საერთაშორისო საპროპაგანდო კომიტეტთან ერთად.

შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენება იტალიაში საქმის მდგომარეობის შესახებ. ფაშისტების მიერ კავშირების დანგრევის შემდეგ, სინდიკალური ორგანიზაცია— „უნიონე სინდიკალე იტალიანო", რომელშიაც წინად ირიცხებოდა 400,000 წევრამდე, ეხლა ფაქტიურათ არ არსებობს; ამ ორგანიზაციის ბელადები იძულებული იყვნენ გადასახლებულიყვნენ იტალიის საზღვრებიდან. რეფორმისტულ ცენტრალურ ორგანიზაციას —შრომის საყოველთაო კონფედერაციას—ჰყავს სულ 150,000 წევრი, ხოლო 1920 წელს ჰყავდა 2,000,000 წევრი. ფაშისტურ პროფკავშირებში საერთოდ ირიცხება დაახლოვებით 800.000 წევრი, მაგრამ ინდუსტრიალურ მუშებს ამ კავშირების რიგებში ვერ შეხვდებით, მათი მასების უმეტეს ნაწილს შეადგენენ გლეხები ხელოსნები და სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეები. კომუნისტებმა, მიუხედავად ტერორისა რომელსაც მიმართავს მათ წინააღმდეგ ფაშისტური მთავრობა, შეინარჩუნეს მუშათა მასებს შორის მათი ძველი პოზიციები და მრავალ ადგილებში ამ ჟამად მათი ორგანიზაციები საკმაოდ გაძლიერდენ.

ფაშისტურ პროფკავშირების ხელმძღვანელთა რიგებში უთანხმოება თანდათან თვალსაჩინო ხდება. მრავალ შემთხვევებში ეს ხელმძღვანელები იძულებული არიან მიუთითონ თავიანთ მასებს ბრძოლის იმავე მეთოდებზე, რომელსაც ირჩევენ კომუნისტები და პროფინტერნის მომხრეები. მასთან ერთად იზრდება ფაშისტურ მასებში რევოლიუციონური განწყობილება. საგაფიცვო მოძრაობა, რომელიც ფაშისტების 8 თვის ბატონობის განმავლობაში თითქმის შეუმჩნეველი იყო, ამ ჟამად საკმაოდ გაძლიერდა — გაფიცვათა რიცხვს ათასობით ანგარიშობენ. გაფიცული არიან თვით სასოფლო-სამეურნეო და კომუნალური მუშაკები, რომელთა შორის ფაშისტებს დიდი გავლენა აქვთ.

მიუხედავად იმისა, რომ მუსოლინის მთავრობამ აკრძალა 1 მაისის დღესასწაული, ამ დღეს მთელს იტალიაში გავრცელდა ვეებერთელა საგაფიცვო ტალღა. გაფიცული იყვნენ მელითონეებიდან—75 პროცენტი, სასოფლო-სამეურნეო მუშებიდან —50 პროცენტი, არ მუშაობდა არც ერთი სტამბა.

მთავრობამ მიმართა რეპრესიებს; მუშების და პოლიციის შეტაკების დროს მოკლულია 20-დე მუშა, დაჭრილებს ასობით ანგარიშობენ, 1 მაისის დღესასწაულში მონაწილეობის მიღებისათვის დააპატიმრეს 400 მუშა.

ეს რეპრესიები და აგრეთვე ფაშისტების ეკონომიური პოლიტიკა, რომლის გამო მცირდება მთელი რიგი წარმოებებისა, ოპოზიციაში აყენებს მუშათა კლასს ფაშისტური მთავრობისადმი. მასებში რევოლიუციონური მოძრაობის ზრდის დასახასიათებლად მომხსენებელს მოჰყავს შემთხვევა, როდესაც პროფინტერნის მოწოდებაზე მატერიალური დახმარების შესახებ ასი ათასი ლირა მიღებული იყო იმ მუშათა ორგანიზაციებიდან, რომლებიც ფაშისტურად ითვლებიან.

ეს ოპოზიცია ფაშისტურ დიქტატურისადმი იტალიაში საყოველთაო ხდება. იტალიის ცნობილი გაზეთები, სამრეწველო ბურჟუაზიის ორგანოები აშკარად გამოსთქვამენ უკმაყოფილებას ეხლანდელი მთავრობით. ერთი უძლიერეს პარტიათაგანი—„პოპულიარი" (სახალხო-ქრისტიანული) სასტიკად ილაშქრებს ფაშიზმის წინააღმდეგ. ასეთივე პოზიცია უჭირავს აგრეთვე დ'ანუნციოს ორგანიზაციასაც.

დასასრულ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ფაშიზმის კრიზისი იტალიაში მომავალში სულ უფრო და უფრო გართულდება.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო.

ბორჯომი.

სეზონის გახსნის წინ.

ბორჯომი. 11 ივნისი. საკურორტო სამმართველო საჩქაროდ ამთავრებს ბორჯომის წესრიგში მოყვანას. სეზონის გახსნისათვის—15 ივნისს მუშაობა სწარმოებს მინერალურ წყლების პარკში, პარკში მიმავალ გზაზე და სხვა ადგილებში. დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ოქტომბრის რევოლიუციის პარკს, რომელიც ქალაქის აღმასკომის გამგებლობაშია: დადგმულია სკამები, მოწყობილია ორი შადრევანი და ესტრადა მუსიკისათვის; ეწყობა ორკესტრი. საკურორტო სამმართველოს განცხადება, რომ ბორჯომში არ არის თავისუფალი შენობებიო. იმ აზრით უნდა იქნეს გაგებული, რომ ასეთები არ დარჩა საკურორტო სამმართველოს განკარგულებაში. კერძო აგარაკებში კი არის თავისუფალი ბინები და ყველა მსურველს შეუძლია მათი დაქირავება. ქირები აგარაკებზე ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული, მაგრამ ისინი ომამდის არსებულ ფასებს არ აღემატება.

აფხაზეთი.

სახკოლო საქმე ვითარდება.

სოხუმი. 11 ივნისი. უკანასკნელ პერიოდის განმავლობაში განათლების სახალხო კომისარიატმა დიდი ორგანიზაციული მუშაობა გააკეთა, რომლის შედეგები უკვე ემჩნევა სახალხო განათლების საქმის განვითარებას. წარსულ წელთან შედარებით სკოლების რიცხვი გაიზარდა 50-ით. განზრახულია საბავშო ბაღების ქსელის გაფართოება, სკოლების სახელმძღვანელოებით 100 პროც. მომარაგება და სხვა. პედაგოგიურ პერსონალის მატერიალური მდგომარეობა ბევრად უკეთესია, ვინემ ეს 1922 წ. იყო. სუსტად იყო წარმოებული მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, რადგან დანაკლისი იყო მომზადებულ განათლების მუშაკებში.

აჭარა.

სიცხე.

ბათომი. 11 ივნისი. უკანასკნელ დღეებში სიცხემ ბათომში მიაღწია 39 გრადუსს ცელსიით—მოვლენა, რომელსაც ადგილი არ ჰქონია ბათომში უკანასკნელ 12 წლის განმავლობაში.

აზერბეიჯანი.

საჰაერო ფლოტისათვის.

ბაქო. 11 ივნისი. აზერბეიჯანის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომლების მიერ საჰაერო ფლოტისათვის გადადებულია 22,200,000 მანეთი ამიერ-კავკასიის ბონებით.

მოსავალს კარგი პირი უჩანს.

ბაქო. 12 ივნისი. მაზრის აგრონომების ცნობით, სასოფლო მეურნეობის საერთო მდგომარეობა აზერბეიჯანში უნდა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. შემოდგომის ნათესების მოსავალი უნდა იქნეს საშუალოზე მეტი. სათიბები ძლიერ კარგია. ყურძნის მოსავალი დამაკმაყოფილებელი უნდა იქნეს.

ხილის—კარგი, მწვანილეულობის მოსავალსაც კარგი პირი უჩანს.

ნავთის ფრონტზე.

ბაქო. 12 ივნისი. 7-8 ივნისს ამოღებულია ყველა სამრეწველოებში— 1,204,000 ფუთი ნავთი. აღებულია გადასაქაჩავად 738,000 ფ. ბურღვაზე მუშაობდა 176 მანქანა. გაბურღულია 172 საჟენი.

ნავთის პროდუქტების გაზიდვა.

ბაქო. 12 ივნისი. ივნისის 5-8-დე ბაქოდან ასტრახანში გატანილია 2,183,519 ფუთი გაუწმენდელი ნავთის პროდუქტი, 57,148 ფუთ. ზეთი 150,527 ფუთი გაწმენდილი ნავთი; არტემის სახელობის კუნძულებიდან ასტრახანში გატანილია გაუწმენდელი ნავთის პროდუქტი—32,898 ფ. ბაქოდან კრასნოვოდსკში 30,200 ფუთი; პეტროვსკიდან ასტრახანში— 271,046 ფუთი გროზნოს პარაფინისებური ნავთი.

აგრონომიულ პუნქტების საგაზაფხულო მუშაობა.

ბაქო. 12 ივნისი. აგრონომიულ პუნქტების საგაზაფხულო მუშაობა საერთოთ დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. ცოტაოდენი დაბრკოლება მთელი პროგრამის განხორციელების საქმეში გამოწვეული იყო საშუალებათა ნაკლულოვანების გამო. პუნქტების მუშაობა გამოიხატა უმთავრესად მცხოვრებთათვის მიწის დასამუშავებელ იარაღების მომზადებაში. დაახლოვებითი გამოანგარიშებით საშუალოთ თვითეულ მაზრაში პუნქტების მიერ გაცემულ იარაღებით დახნულია გაზაფხულის პერიოდში 1000 დეს. მიწა. აგრონომიულ პუნქტების მორიგი სამუშაო მდგომარეობს მოსავლის ასაკრებ მანქანების შეკეთებაში დიდ ყურადღებას საგაზაფხულო მუშაობის დროს აგრონომიული პუნქტები აქცევდენ თაგვებთან ბრძოლას. მცხოვრებთ აგრონომიული პუნქტები აძლევდენ ინსტრუქციებს თაგვებთან რაციონალური ბრძოლის წარმოების მიზნით. მრავალ სოფლებში გაიმართა საუბარი და ლექციები სასოფლო-მეურნეობის ინტენსიფიკაციის საკითხის გასაშუქებლად და ამასთანავე ეწყობოდა სანიმუშო საცდელი მინდვრები. ასეთი მინდვრების რიცხვი დაასლავებით 50. მთავარ ყურადღებას მინდვრების ამორჩევაში აქცევდენ იმას, რომ ეს მინდვრები დამუშავებული ყოფილიყო გლეხურ მეურნეობის ნორმალურ პირობებში. განსაკუთრებულ ყურადღებას აგრონომიული პუნქტები აძლევდენ ბამბის თესვის სანიმუშო მინდვრებს. როგორც საზოგადო მოვლენა შეიძლება აღინიშნოს, რომ გლეხობა სტიქიურად იწყებს ბამბით რაც შეიძლება მეტი მიწების დათესვას.

ღამით მუშაობა ფურნეებში აკრძალულია.

ბაქო. 12 ივნისი. შრომის სახ. კომისარიატის რწმუნებულმა აკრძალა 15 ივნისიდან ღამით მუშაობა განურჩევლად ყველა ფურნეებში.

სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულთა დახმარება.

ბაქო. 12 ივნისი. სათესლო სესხის განყოფილებაში მყოფ ცნობების თანახმად სეტყვის, წყალდიდობის, კალიასა და გვალვისაგან დაზარალებულია: განჯის მაზრაში—200 დეს. გეოკჩაის მ.—10.942 დ., ჯევანშირის მ.—332 დ., ჯებრაილის მ.—7,750 დ., შუშის მ.—250, სალიანის მ.— 12,350 დ., აგდაშის—100 დ., შამქორის—10 დ.

სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულ მცხოვრებთა დამხმარე კომისია შუამდგომლობს, რათა სასწრაფოთ იქნას გადაგზავნილი ტფილისიდან ამიერ-კავკასიის ცენტ. აღმასრ. კომიტეტის მიერ გაცემული 25 000 ფ. სიმინდი, რომლის დასატვირთავად ტფილისში გაემგზავრენ აზერბეიჯანის მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის თანამშრომლები. ამ სიმინდის დაზარალებულ მაზრებ შორის განაწილება სულ ახლო მომავალში მოხდება.

26 კომუნარის დაღუპვა ეკრანზე.

ბაქო. 12 ივნისი. **კინო-სექციის დავალებით „წითელი ჭინკების" ავტორი ლიახინი სწერს სცენარის „ბაქოს 26 კომისრის დახვრეტა". სურათი გადაღებული იქნება ბაქოში და კასპიის იქითა მხარეში. ამ სურათს დიდი მნიშვნელობა ექნება განსაკუთრებით საზღვარ-გარეთ, სადაც მუშები ნათლათ დაინახავენ ინგლისის საოკუპაციო მთავრობის მოქმედებას ბაქოში.**

წითელი პედაგოგი-თურქები.

ბაქო. 12 ივნისი. ამ ჟამად აზერბეიჯანის ათივე პედაგოგიურ სასწავლებლებში, რომელთაგან 2 მასწავლებელთა ინსტიტუტია და ორი სამასწავლებლო სემინარია, სწავლა სწარმოებს თურქულ ენაზე. ინსტიტუტები (ქალთა და ვაჟთა) ორივე ბაქოში იმყოფება. სემინარიები კი— კაზახში, განჯაში, ბაქოში (ვაჟთა და ქალთა), ნუხაში (ქალთა და ვაჟთა), შუშაში და ნახიჩევანში. მასწავლებლები გამოუშვეს ჯერ-ჯერობით მხოლოდ კაზახისა და ბაქოს სემინარიებმა. მომავალ წელს გამოშვებული იქნება 80 თურქი მასწავლებელი. 1924—25 წლებში უკვე 250-დი მასწავლებელი ქალი და კაცი. ამ ჟამად აზერბეიჯანში სულ 1617 მასწავლებელია, ამათგან ვაჟი—1476, ქალი კი—140.

სომხეთი

სომხეთი სრულიად რუსეთის გამოფენაზე.

ერევანი. 12 ივნისი. ვანის ოქრომჭედლები ერევანში ამზადებენ სრულიად რუსეთის გამოფენისათვის ორიგინალ ფიალებს, ლამბაქებს, პორტსიგარებს და მრავალ სხვა ნივთებს სომხურის სტილისას. ამ მუშაობას ხელმძღვანელობას უწევს მხატვარი კოდკოიანცი. სახალხო განათლების სახელოსნოებიც გამოჰგზავნიან საოქრომჭედლო ნივთებს ხის ნაწარმოების, ხელსაქმის და ძაფეულობის წარმოებაა ხელმძღვანელობას უწევენ მხატვარი სარიანი და ახიკიანი.

მოსკოვიდან იტყობინებიან, რომ სომხეთის პავილიონი მზადდება და თავის დროზე მოესწრობა მისი დამთავრება.

გამოფენაზე გასაგზავნ ნივთებს შორის არის უშველებელი ხის გუთანი, რომელიც სომხეთში ტიპიურად ითვლება.

სომხეთის გამოფენას დათმობილი აქვს 454 ადგილი. ამათგან გლეხობას—400, პროფესიონალურ კავშირებს—49 და სახალხო განათლების კომისარიატს—5. სახალხო განათლების კომისარიატი გამოფენაზე ჰგზავნის ექსკურსანტებს, რომლებსაც ყოველის მხრივ ხელი შეეწყობათ.

დიაგრამების დამზადებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს სააგრონომიო ფაკულტეტის სტუდენტებმა.

ვენახების შეწამვლა.

ერევანი. 12 ივნისი. სომხეთის სახელმწიფო ბანკმა სესხად გასცა 1000 ფუთი შაბიამანი ერევნისა, კამარლოს, ეჩმიაძინისა და ახტარაკის მიდამოებში ვენახების შესაწამლად.

დამშეულთა დახმარება.

ერევანი. 12 ივნისი. ამიერ-კავკასიის აღმასრულებელმა კომიტეტმა ზანგეზურის დამშეულთათვის გაგზავნა 15,000 ფუთი ხორბლეული.

გლეხების აღმშენებლობა.

ერევანი. 12 ივნისი. ქოთას რაიონში გლეხობამ გააკეთა ორი ხიდი, გასწმინდა არხები. სულ მუშაობდა 840 კაცი.

ლტოლვილთა მდგომარეობა გაუმჯობესდა.

ერევანი. 12 ივლისი. ქოთას რაიონში ლტოლვილთა მდგომარეობა გაუმჯობესდა. საჭიროა მხოლოდ საამშენებლო მასალა საცხოვრებელ ბინების ასაგებად. რაიონის აღმასრულებელი კომიტეტი შუამდგომლობს, რომ ამ მიზნისათვის დაეთმოს მას 500 მორი.

ქოთას რაიონი.

ერევანი. 12 ივნისი. ქოთას რაიონში სიცივეების გამო გაფუჭდა 553 დესეტინა ნათესობა.

მალიარია ძლიერდება. ხინის უქონლობა ამწვავებს საქმეს.

მალიარიას ებრძვიან,

ერევანი. 12 ივნისი. ზანგიბასარში გაემგზავრა მალიარიასთან მებრძოლ კომიტეტის წარმომადგენელი ექ. მითეშიშიანი სამალიარიო სადგურის გასახსნელად. ზანგიბასარი ბუდეა მალიარიისა.

პარტიული ცხოვრება

ცეკავშირის კომუჯრედში.

8 ივნისს შესდგა ცეკავშირის კომუჯრედის კრება უპარტიო მუშების და მოსამსახურეთა თანდასწრებით, რომელზედაც ამხ. მ. ტოროშელიძემ გააკეთა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, რის შემდეგ მიღებულია ქვემოდ მოყვანილი რეზოლიუცია:

ცეკავშირის თანამშრომელთა საერთო კრებამ, მოისმინა რა ამხ. ტოროშელიძის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, შემდეგ დასკვნამდი მივიდა:

1) მთელ ბურჟუაზიულ ქვეყანას, რომელიც შინაური კლასობრივი წინააღმდეგობითა და კოლონიების დაპყრობისა და ექსპლოატაციისათვის წარმოებულ საკონკურენციო ბრძოლითაა აფორიაქებული, თავის ყურადღების ცენტრად მაინც საბჭოთა რესპუბლიკები ჰყავს, რომლების მიმართ ის საშინელ სიძულვილს გრძნობს და კერზონის სახით ულტიმატუმს უდგენს მათ; აღნიშნული ულტიმატუმი მშვიდობიან დამოკიდებულებათა გაწყვეტითა და ომის გამოცხადებით იმუქრება.

2) საბჭოთა რესპუბლიკების მშვიდობიანობის მოყვარულობა სავსებით ეთანხმება მის ინტერესებს გამოყენებულ იქნეს შესვენება სამეურნეო აღმშენებლობისა და ომით დანგრეულ სახალხო მეურნეობის აღდგენისაკენ მიმართულ მოღვაწეობის წარმატებით განმტკიცებისათვის. ეს გარემოება გვიკარნახებს, რაც შეიძლება გავაგრძელოთ ბურჟუაზიულ ქვეყანასთან აუცილებელ კონფლიქტის მომენტი, იმ კონფლიქტის, რომელიც აუცილებლად ხისხლის მღვრელ ომის სახით უნდა ჩამოყალიბდეს ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

3) ბურჟუაზიული ქვეყანა, რომელიც უძლურია ომით გამოწვეულ ნგრევის თავიდან აშორებაში, ომამდი არსებულ საერთაშორისო სამეურნეო დამოკიდებულებათა და ამ ნიადაგზე არსებულ რამდენათმე წონასწორობის აღდგენაში, სულ თანდათან ამწვავებს შინაურ და საერთაშორისო მდგომარეობას და მუშათა კლასის თანდათანობით გაძლიერებულ ექსპლოატაციით ფიქრობს საქმის გამოკეთებას, იმ მუშათა კლასის ექსპლოატაციით, რომლის მატერიალური და პოლიტიკური მდგომარეობა დღითი-დღე უარესდება საერთო რეაქციასთან და კაპიტალის შეტევასთან დაკავშირებით.

4) იმ აუცილებელ ბრძოლაში, რომელიც ძველ ბურჟუაზიულ და ახალ საბჭოთა წესწყობილების შორის უნდა მოხდეს, მუშათა კლასის გამომბრძმედილი ხელმძღვანელი არის კომუნისტური პარტია და მე-3 ინტერნაციონალი, რომელთაც გამარჯვებით გამოიყვანეს საბჭოთა რესპუბლიკები მშვიდობიან აღმშენებლობის გზაზე; ისინი არიან გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი მთელ დაჩაგრულ აღმოსავლეთისათვის, რომელიც თამამად იმაღლებს ხმას „განათლებულ" იმპერიალისტების საუკუნოებრივ ჩაგვრის წინააღმდეგ. ყველა დანარჩენ პარტიებს, რომლებიც არსებითად შემთანხმებელი პარტიები არიან, არ შეუძლიანთ აწარმოონ ნამდვილი ბრძოლა მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის და გადამწყვეტ მომენტში კი შეუძლიათ მხოლოდ მისი ინტერესების გაცემა.

ამიტომ ძველი ქვეყნის გაბატონებულ კლასების მთელი ღონისძიებანი მიმართულია საბჭოთა წესწყობილების ხელმძღვანელობით არსებულ პროლეტარულ ქვეყნების მოსპობისაკენ, მაგრამ ეს უკანასკნელნი ძლიერი არიან თავისი შინაური სიმტკიცით და მთელი საერთაშორისო პროლეტარიატისა და ჩამორჩენილ მრავალ მილიონიან აღმოსავლეთის თანაგრძნობით. ბურჟუაზიული ქვეყნების პროვოკაციული პოლიტიკა გადამწყვეტ წინააღმდეგობას იპოვის არა მარტო საბჭოთა ქვეყნებში, არამედ თვით კაპიტალისტურ სახელმწიფოებშიაც მთელ საერთაშორისო მუშათა კლასის მხრიდან.

წყალსადენის კომუჯრედში

პარასკევს, 8 ივნისს შესდგა შეერთებული სხდომა წყალსადენის კომუჯრედის და ახალგაზრდა კომუნისტებისა პოლიტ-წრის წევრების თანდასწრებით.

მოხსენებას აკეთებს ამხ. ღარიბოვი, რომელიც იძლევა ახსნა-განმარტებას კომუნისტური პარტიის წევრობის მნიშვნელობაზე და მოვალეობაზე და აგრეთვე ახალგაზრდა კომუნისტებზე; შემდეგ გადადის პარტიული დისციპლინაზე და აღნიშნავს, რომ კომუნისტურ პარტიას აქვს მტკიცე ფოლადისებური დისციპლინა, რის საშუალებით დავამარცხეთ გარედან შემოსეული მტრები და აგრეთვე შინაური კონტრრევოლიუციონური ელემენტები. მხოლოდ მტკიცე შეგნებული დისციპლინით არის შესაძლებელი ომისაგან დანგრეული მეურნეობის და ტრანსპორტის აღდგენა. მოხსენების შემდეგ გამოტანილი იქნა შესაფერი რეზოლიუცია.

ინფორმაციულ მოხსენებას გაზეთების ცნობების მიხედვით აკეთებს ამხ. ფირიაშვილი. იყო კიდევ სხვა საკითხებიც. წაკითხულ და განხილულ იქნა ცირკულიარები. ახალგაზრდა კომუნისტი-მუშები კამათში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ სხვა და სხვა კითხვების განხილვის დროს. ეტყობოდათ, რომ საკითხებში ერკვეოდნენ და ცოცხალი ინტერესებით ეკიდებოდენ სხდომის მსვლელობას.

ბაქოს პარტიული კონფერენცია

ბაქოს კომიტეტის ახალი შემადგენლობა.

ბაქო. 12 ივნისი. გუშინ საღამოს დამთავრდა ბაქოს პარტიული კონფერენცია. არჩეულია ბაქოს კომიტეტის ახალი შემადგენლობა, რომელშიც შევიდენ შემდეგი ამხანაგები: ამენიცკი, რუხულა ახუნდოვი, ის. ალიევი, ას. ბაირამოვი, ბელენკი, ვარეიკისი, ვაცეკი, გორობჩენკო, ბუტინი, რ. გუსეინოვი, კახიანი, ი. კასიმოვი, კასპაროვი, კაჩაევი. კაფაევი, კერიმოვი, კრილოვი, მუსტაფა კულიევი, კონაშკინი, ლავრენტიევი, მემედ-ალა, მაცკევიჩი, მირზოიანი, მალტეევი, მუხტარ ფატარი ნატიევი, ჯაიგირ ნაგიევი, ნიკიტინი, ოპარინი, პარუბინი, პლებაკოვი, რიზაევი, რუმიანცევი, ხანბუდაგოვი, იარიგინი და სხვები. კანდიდატებათ არჩეული არიან: ამხ.: ჩაგინი, პოკონოვი, ჩერნიაევი, კრასნოიარსკი, კასუმოვი, მირ ბაშირი, ამბულაგოვი, გაჯიევი (არმიიდან), ზარაფიანი, მედვედევი. საკონტროლო კომისიაში:—გაბერკორნი, გაჯიბაბია, გუსეინოვი, კულიევი, ჩიკარევი, კანდიდატებათ: ალი ბაბაევი და ბეზდელიუხინი. სარევიზიო კომისიაში— გალუნოვი, კასიმოვი, პანახი, კრილოვი და ბალამანსკი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.

(13 ივნისი)

ჩერვონცები —14,000 ათასი.
გირვან. სტერ. ეფექტ —15,500 ათ.
„ ჩეკები—13 100
დოლარები — ეფექტ.—3.550
„ ჩეკები—3.150
ქაღალ. ლირა ეფექტ.—2.250
საბჭ. ფულის ნიშნები—20·

ძვირფასი ლითონების კურსი.

(13 ივნისი).

ოქრო 96 სინჯ.— 9 მილ. ოქრო56—სინჯ.—4500 ათასი. ვერცხლი 84—სინჯ.—მისხალი 168 ათ. ვერცხლი ბანკ. 1 მან.—1100, ვერცხლი ხურდა ფული 1 მ.—435.

სავალიუტო ბაზრის განწყობილება.

13 ივნისი

განწყობილება უცვლელია. ჩერვონცები ბირჟაზე ცოტაა. კურსი და მოთხოვნილება მატულობს. დანარჩენი ვალიუტაც სუსტათაა.

მუშკოოპის ფასები.

13 ივნისი

თეთრი პური—45 ათასი. თეთრი ფქვილი 1 ხარ.—100 ათასი. თეთრი ფქვილი 2 ხარ.—70 ათასი. ფხვნილი შაქარი—340 ათასი. საპონი „ბაბიტი"—320 ათასი. საპონი „ტოლე"—300 ათასი. ადგილობრივი მარმალილოს საპონი—270 ათასი. ასანთი 25—40 ათასი.

ბირჟის მიწოდება.

გოგირდის სიმჟავე. სოდა. ფანჯრის მინები. მატყლი. ფხვნილი შაქარი. გერმანული მედიკამენტები. ფეხსაცმელები „სკოროხოდი". რუსეთის ასანთი. საამშენებლო ლურსმნები. ცხვრის ნაწლევები.

ბირჟის მოთხოვნილება.

საწამლო ბალახები. ქვამარილი. ფქვილი 1 ხარ. სახურავის რკინეულობა. ფხვნილი შაქარი. ჩაი. მაკარონი. ფოთლოვანი თამბაქო. შაბიამანი. მატყლი. ლურსმნები. მედიკამენტები. ცხვრის ნაწლევები. სამუშაო ფეხსაცმელები.

ოფიციალური ხელშეკრულებანი.

13 ივნისი.

დღეს დადებულია ხელშეკრულება 2832 ფუთ ევპატორიის მარილზე 200 ჩერვონცების თანხის.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

13 ივნისი.

პურის პროდუქტების ფასების დაცემა გრძელდება. შაქრის ბაზარზე— გადიდებულია ფხვნილი შაქარი. ფართლეულობის ბაზარზე—გაცხოველებული. დანარჩენი უცვლელია.

საქონლის ბაზრის ფასები

(ბითუმად).

ყუბანის ხორბალი—1500—1800. ადგილობრივი ხორბალი — 1400— 1450. ქერი—500—600. აკულინის ბრინჯი—8000. შაქარი რაფინადი— 50,000. კარაქი ფუთი—24000— 26000.

ტფილისის საქონლის და საფონდო ბირჟის გარიგებათა ჯამი.

1—8 ივნისამდე.

1—8 ივნისამდე ბირჟაში გამოცხადდა 201 მუდმივი წევრი და 207 შემთხვევითი მოსიარულე ფონდების და საქონლის ჯამი (ჩერვონცებით) უდრის სულ 37.278 სამ მეოთხედს, ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით (ათას მანეთებში) სულ 446,535,055. მყიდველები: კერძო ორგანოები—95, კოოპერატივები—20, საზოგადოებრივი ორგანიზაციები—11, კერძო პირები—1411; გამყიდველები: სახელმწიფო ორგანოები—148, კოოპერატივები—13, საზოგადოებრივი ორგანიზაციები—38, კერძო პირები— 71; შეიძინეს ვალიუტა ჩერვონცებით: სახელ. ორგანიზ.—17,719, კოოპერატივებმა—2430, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა—1521 და კერძო პირებმა—13,006. გაყიდეს ვალიუტა ჩერვონცებით; სახელმწ. ორგანიზ.—19,911, კოოპერატივებმა— 1774, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა—7761 და კერძო პირებმა— 5230, იყიდეს საქონელი (ჩერვონცებით) სახ. ორგან.—580, კოოპერატივებმა—1370, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა—0, და კერძო პირებმა 652 სამი მეოთხედი. გაყიდეს საქონელი (ჩერვონცებით): სახელმწ. ორგანიზ.—2192, კოოპერატ. და საზოგ. ორგან.—0, და კერძო პირებმა 410.

ხალიჩების ბაზარი ამერიკაში.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საინფორმაციო განყოფილების ცნობების მიხედვით, ამერიკის ბაზარზე არის დიდი მოთხოვნილება ხალიჩებზე. დასრულებული საგაზაფხულო სეზონი ყველაზე უფრო ხელსაყრელი იყო ამ ინდუსტრიის არსებობის. მთელი დროის განმავლობაში. ხალიჩებს დიდი რაოდენობით იძენენ ეხლა არა მარტო დიდი ქალაქების მცხოვრებლები, თვით პროვინციალურ ქალაქებსა და სოფლებისაგან მოდის მრავალი დაკვეთები. პროვინციებში უფრო მეტი მოთხოვნილებაა ხავერდის ხალიჩებზე, ფაბრიკებში აუარება დაკვეთებია, რომელთაგან მრავალი არ არის შესრულებული. მარაგის უქონლობა შეუძლებლად ხდის ყოველწლიურად ხალიჩების აუქციონის მოწყობას. მომავალი სეზონისათვის საფეიქრო ფაბრიკები ამზადებენ ძაფების და სხვა მასალების დიდ მარაგს ხალიჩების დასამზადებლად. ხალიჩების ახალი სეზონის გახსნა აუცილებლად გამოიწვევს საერთოდ ფასების აწევას 5-დან 7 პროცენტამდე.

ტყავეულობის მრეწველობა

ფინანსიური რესურსების ნაკლებობამ, ნედლი მასალის ბაზრის უქონლობამ და სხვა მატერიალურმა მიზეზებმა აიძულეს ტყავეულობის მთავარი სამმართველო მიემართა გაბედულ საშუალებისათვის, რომელიც გამოიწვევდა ტყავეულობის მრეწველობის გაჯანსაღებას.

საჭირო აღმოჩნდა საბრუნავ საშუალებათა გადიდება კარგად მოწყობილ წარმოებებში სუსტ წარმოებათა ხარჯზე. ამ მიზნით ტყავეულობის მთავარი სამმართველო მაისის დასაწყისში შეუდგა წარმოების კონცენტრაციას ორ ტყავეულობის ქარხანაში. და ლიკვიდაცია მოახდინა ტყავეულობის ქარხნის № 2-ის (ყოფ. „სოგორა"-ს) ნავთლუღში. ამგვარად მაისში ტყავეულობის მთავარ სამმართველოს ყველა წარმოებებში მუშაობდა: ტყავეულობის ქარხანა № 1, ყოფ. ადელხანოვის, ქარხანა № 3, ყოფ. ზარგაროვის, ფეხსაცმელების ფაბრიკა, ელექტრონის სადგური და ძვირფასი ფეხსაცმელების სახელოსნო. არ მუშაობდა ნაბდის ფაბრიკა სათანადო მარაგის უქონლობის და მასზე მოთხოვნილების შემცირების გამო. კონცენტრაციის გატარების შემდეგ ტყავეულობის მთავარმა სამმართველომ ლიკვიდაცია მოახდინა ქარხანა № 2-ის ყველა მუშებისა და ქარხანა № 4-ის დარჩენილ 14 კაცის. 1 მაისისათვის ყველა წარმოებებში იყო: წარმოებაში ჩაბმული მუშები — 255 კაცი; რემონტზე და სამეურნეო დარგში მომუშავენი—42 და მოსამსახურენი—25 კაცი, სულ—322 კ. წინააღმდეგ 352-ისა, რომელიც იყო აპრილში. ლიკვიდაცია შეეხო უმთავრესად დურგლებს, ზეინკლებს და სხვა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ტყავეულობის მთავარ სამმართველოში; მაღაზიებში, საწყობებში, სადარაჯოებში და ტრანსპორტში ითვლებოდა 93 კაცი, მაშინ საერთოთ ტყავეულობის მთავარ სამმართველოს ამ ჟამად ჰყავს 405 მუშა-მოსამსახურე.

მაისის განმავლობაში მუშაობდა მხოლოდ 4 წარმოება, რომელთაც დაამზადეს 45165 მანეთის საქონელი, თითქმის 10 ათასით მეტი, ვიდრე აპრილში, მიუხედავათ იმისა, რომ ეხლა 3 ქარხნის მაგიერ მუშაობდა მხოლოდ 2. საერთო თანხიდან 20.662 მან. № 1 ქარხანას ხვდება (46 პრო.) 17.000 მ. ფეხსაცმელების ფაბრიკას (38 პროც) 6100, ქარხანა № 3 (13 პროც.) 1400 მ., ელექტრონის სადგურს (3 პროც.), საერთოთ შემჩნეულია პროდუქტის გაზრდა და ამასთან ერთად ხარისხის გაუმჯობესებაც. მაისის განმავლობაში 2 ქარხანამ დაამზადა 1574 დიდი და 1012 პატარა ტყავი. ამ ჟამად ტყავეულობის მთავარ სამმართველოს აქვს მარაგი 2177 დიდი ტყავი, რაც შეადგენს ნედლი მასალის ერთი თვის მარაგის 112 პროც.-ს. 1 ივნისისათვის წარმოებაშია № 1 ქარხანაში— 3880 დიდი და 4405 პატარა ტყავი, ქარხანა № 3-ში 1949 დიდი და 13 პატარა, და ქარხანა № 2—141 დიდი, რომელიც ივნისში გადაიგზავნება ქარხანა № 1-ში. თუმცა ქარხნების ასეთი დატვირთვა ნაკლებია იმაზე, რაც საჭიროა საწარმოვო გეგმით, მაგრამ ტყავეულობის მთავარი სამმართველო ფიქრობს შემოდგომისათვის აიყვანოს დატვირთვა საჭირო ხარისხამდე. ტყავეულობის მთავარი სამმართველო საკმაოდ უზრუნველყოფილია დამხმარე მასალით (მუხის ქერქი და სხვა). ტყავეულობის მთავარ სამმართველოს ნაწარმოებთა ბაზარი არის მხოლოდ და მხოლოდ ტფილისის ბაზარი. ორ მაღაზიას და მთავარ საწყობს მაისამდე უნდებოდა თითქმის მთელი პროდუქცია. პირველ 4 თვის ბრუნვა ამ მაღაზიებში უდრიდა 106,865 მ. მაისში კი იგი უდრიდა 27,287 მ. ე. ი. მთელი ამ თანხის 25 პროც.-ს აქედან საწვრილმანო მაღაზიას 1-ს— 9788 მ. მეორეს (ბითუმად)—11,399 და ცენტრალურ საწყობს—6188 მ. ძვირფასი ფეხსაცმელების სახელოსნოს ნაწარმოების გასასაღებლად სასახლის ქუჩაზე გაიხსნა მაღაზია.

საქართველოს აგარაკები

5. წყალტუბო

(გეოლოგ ბაბეს მოხსენებით).

1 გეო-ტოპოგრაფიული მდებარეობა.

სოფელი წყალტუბო ქუთაისიდან 9 ვერსით არის დაშორებული და ქალაქს უერთდება გზა-ტკეცილით. წყალტუბოს მთელი თავისი აქა-იქ გაბნეული შენობებით უჭირავს დაახლოვებით 6 კვად. ვერსი მოედანი.

სოფელ წყალტუბოს შუაგული ჩაღრმავებული დაბლობია, სადაც გამოდიან წყალტუბოს გათქმული თბილი წყლები. ამ დაბლობს აქვს მოგრძო ფინჯანის ფორმა, რომლის დიდი ღერძი ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ არის მიმართული. დაბლობის ფოკერი შეიცავს 20 კვადრ. დესიატინას და გარს შემორტყმულია ბორცვების განუწყვეტელი გრეხილით. რომლის სიმაღლე 30—40 მეტრი იქნება. დაბლობის ფოკერი დაკავებულია აბანოებით, დასაბინავებელ სახლებით, სიმინდის ყანებით და ჭაობებით.

2. თბილი წყაროები და აბანოები.

თბილი წყაროები დაბლობის ჩრდილო ნაწილში ხდიან. მათი რაოდენობა დიდია—დაახლოვებით 48 და გაჭიმული არიან პირდაპირი გზით ერთი ვერსის მანძილზე. ყველა წყაროები მდებარეობენ მდ. წყალტაროს გამოსწვრივ და მახლობლად.

ზოგი წყარო თვით მდინარის კალაპოტში გამოდის.

ამ წყაროებიდან გამოყენებულია საბანაოდ მხოლოდ ხუთი—სახელდობრ ჩრდილოეთიდან—სამხრეთით: არქიელის აბანო, ახალი აბანო, გუბერნატორის აბანო, ძველი აბანო, და აბანო კოდის-წყალი, ორი სხვა წყარო იხმარება სასმელად: რკოს წყარო, რომელიც არქიელის აბანოს მახლობლად მდებარეობს და მეორე წყაროც კოდის წყალს იქით. ჩვეულების მიხედვით, საუმჯობესოთ არის ცნობილი მკურნალობის თვალსაზრისით ერთი ჭიქა თბილი წყაროს წყლის მიღება.

ორი ჯერ კიდევ მოუწყობელი წყარო, ღია ცის ქვეშ დანიშნულია საბანაოდ. ეს არის: საწისქვილე წყარო—ჩრდილოეთით და დიდი აბანო —სამხრეთით. პირველი წარმოადგენს ძაბრისებურ აუზს სიღრმით სამ 3 მეტრს, სიგანით 2 მეტრს. დიდი აბანო—ეს პატარა ტბაა, რომელსაც დაახლოვებით 20—25 მეტრი დიამეტრი აქვს. მისი სიღრმე აღწევს 3 ნახევარ საჟენამდე. დანარჩენი წყაროები ჯერჯერობით გამოუყენებელია.

აუზები.

ყველა აბანოებში მხოლოდ ესაა არქიელის აბანო, არის რამოდენიმედ რიგიანად მოწყობილი. წყაროს თავზე აგებულია ქვის შენობა ორი განყოფილებით—ქალებისათვის და ვაჟებისათვის. სხვა აბანოები მეტად პრიმიტიულად არის მოწყობილი.

„ძველი აბანო", რომელსაც დიდი სახელი აქვს მოპოვებული, წარმოადგენს ხუთ განყოფილებიან ქვის შენობას, რომელიც ყავრით არის გადახურული. განყოფილებებში არ არის ადგილი ტანისამოსის გასახდელად და შესანახად. აუზების სიდიდე სხვადასხვა გვარია—43 კუბიკ. მეტრიდან 10 მეტრამდე. ორი განყოფილება დანიშნულია ქალებისათვის და 3—ვაჟებისათვის.

„გუბერნატორის აბანო"-ც ორი დიდი აუზით, არ წარმოადგენს რიგიან მოწყობილს საბანაოს.

დიდ უხერხულობას წარმოადგენს აგრეთვე ის გარემოება, რომ აუზები ერთი მეორეს უერთდებიან და ამის გამო გაბინძურებული წყალი ერთი განყოფილებიდან მეორეში გადის.

სადგომი ბინები.

ოთახები, რომელიც ქირავდება მოსულ ავადმყოფებზე, ბნელი, პრიმიტიულად მოწყობილია. 1915 წელს მოეწყო სასტუმრო 16 რიგიანად მორთული და სუფთა ოთახებით. საზრდოს შოვნა აქ არ არის ძნელი. საკურორტო სამმართველომ, როგორც აუზების, ისე საბინაო სახლების ასაგებად და მოსაწყობათ გადასდო საკმაოდ თანხა.

მკურნალობის სეზონი.

მკურნალობის სეზონი წყალტუბოში ორ პერიოდათ იყოფა: პირველი —გაზაფხულის სეზონი იწყება 1-ლ მაისიდან და თავდება ივნისის დამლევს და მეორე—შემოდგომის—იწყება სექტემბერში და თავდება ნოემბრის შუა-რიცხვებში, ახალი სტილით. ზაფხულისა და ზამთრის სეზონი არ არის, რადგან ზაფხული ციებიანია, ხოლო ზამთარში ცივა. საბანაო სეზონს ახასიათებს ავადმყოფთა დიდი რაოდენობათ დაგროვება. მათი რიცხვი დღე-ღამეში აღწევს 1500 სულს, ხოლო სეზონის განმავლობაში 40—50 ათასს.

ჩვეულების მიხედვით, საჭიროა 20—30-ჯერ ბანაობა სულ (დღეში ორჯერ-სამჯერ) მთელ სეზონში ჩვეულებრივ ავადმყოფი 3—4 დღეს ატარებს აქ. ხშირად ავადმყოფი წყალში ერთს საათს და მეტსაც იმყოფება.

წყლის ქიმიური შემადგენლობა და ფიზიკური თვისება.

წყალტუბოს წყალი თბილია, 30—34° ცელსის ტემპერატურით. წყალი გამჭვირვალეა უფერული, ხანდახან მოცისფრო—მწვანე ფერს ღებს. არა აქვთ არავითარი გემო. წყალში სრულიად არ მოიპოვება იოდი, აზოტიური ნაერთები და გოგირდოვანი წყალბადი.

ქიმიკოსები კუპკისი და სტრუვე წყალტუბოს ინდიფერენტულ თბილ წყალთა ჯგუფს აკუთვნებენ და ამზგავსებენ მათ, როგორც ტემპერატურით და რადიო აქტიურობით, ისე ქიმიური შემადგენლობით ვილდბადის და ტოპლიცის წყლებს ბოჰემიაში.

პროფკავშირებში

კომუნალურ მეურნეობის კავშირში.

ამხ. კამოს სახელობის საავადმყოფო არ უნდა დაიხუროს.

ვინაიდან დიდუბეში არსებული ამხ. კამოს სახელობის საავადმყოფო ემსახურება განსაკუთრებით მუშებს კომუნალურ მეურნეობის სამდივნომ თავის სხდომაზე 12 ივნისს—დაადგინა: სთხოვოს საქ. პროფსაბჭოს აღძრას შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, რომ ხსენებული საავადმყოფო არ იქნეს დახურული.

უძრავ ქონების სამმართველო.

ქალაქის აღმასკომთან არსდება უძრავ ქონების სამმართველო, რომელიც განაგებს ყველა სახლების და მიწების საქმეს. კომუნ. მეურნ. კავშირმა თავის წარმომადგენლად სამმართველოში დანიშნა ამხ. ისტრიევი.

მედიკო-სანიტარულ კავშირში.

წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია.

მედიკო-სანიტარულ კავშირმა მაისის დამლევს წერა-კითხვის უცოდინართა სკოლები გადააკეთა პირველ საფეხურის სკოლებად. ამ ჟამად კავშირში წერა-კითხვის უცოდინარი წევრი აღარ არის და წერა-კითხვის უცოდინარობა უნდა მოსპობილად ჩაითვალოს.

პროფტეხნიკური განათლება.

მედიკო-სანიტ. კავშირს განზრახვა აქვს უახლოეს ხანში გახსნას ფარმაცევტთა კურსები. ფარმაცევტთა საზოგადოებამ ამ კურსებისთვის შეადგინა წესდება.

პროფ. და პოლიტ. უცოდინარობის ლიკვიდაცია.

პროფესიონალურ და პოლიტიკურად უცოდინარობის სალიკვიდაციოდ კავშირი აარსებს წრეებს, სადაც მოწვეული იქნება სპეც-პირები ლექტორები, რომელნიც პროფ. და პოლიტიკურ საკითხების გარშემო წაიკითხავენ მთელ რიგ ლექციებს.

სამკითხველო და ლიტერატურა.

სამკითხველოები კავშირს კარგად აქვს მოწყობილი. დაარსებულია სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს საჭირო ლიტერატურის შეძენა და მუშათა მასებში გავრცელება. კავშირმა შეიძინა 20 ეკზემპლიარი. კრებულის „ჩვენი მეცნიერება" 30 ეკზ. „მენშევიზმის გახრწნა". გავრცელებულია 518 მეტი წიგნი. იწერება გაზეთებიც.

საკლუბო მუშაობა.

საკლუბო მუშაობა თავის მოწოდების სიმაღლეზე სდგას. კლუბთან არსებობს სამხატვრო კომისია, რომელიც განაგებს საკლუბო საქმეებს. უკანასკნელ ხანს კლუბისთვის დაიხატა ახალი დეკორაციები. იმართება წარმოდგენები უმეტეს შემთხვევაში ქართულ ენაზე.

მუშკორების ყრილობა.

კავშირმა მაისის განმავლობაში მოიწვია მუშკორების ერთი ყრილობა, ყრილობაზე დასმული იყო საკითხი: გაზეთების გავრცელების შესახებ მუშათა შორის, შემუშავდა გეგმა რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ მომავალში.

მუშათა ცხოვრება

„26 კომუნარი"-ს სახელობის თამბაქოს ფაბრიკა № 6.

ხსენებულ ფაბრიკაში მსახურობს 75 მუშა და 9 თანამშრომელი. საქარხნო კომიტეტი აქ ენერგიულად მუშაობს. ა. წ. 1 თებერვლიდან, კომიტეტს ჰქონია 9 სხდომა, რომლებზედაც გარჩეულია სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც მაგ. შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის წევრების არჩევის, კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის და სხვა.

ფაბკომის ამ დროის განმავლობაში კულტურული მუშაობა გამოიხატება იმაში, რომ ფაბრიკის მუშები სარგებლობენ, „არწრუნი"-ს სახელობის რაიონულ სამკითხველოთი და აგრეთვე მიღებულია ზომები, საკუთარ საფაბრიკო სამკითხველოს გასახსნელად. ამას გარდა ფაბრიკაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შემდეგ გახსნილია მეორე საფეხურის სკოლა, სადაც მეცადინეობენ მუშები და მათი ოჯახის წევრებიც, კავშირის მიერ დანიშნულ სამ მასწავლებელთან. მუშებს კოლექტიური ხელმოწერით მოსდით გაზეთები—ქართულ ენაზე 19 ც., რუსულზე —11 და სომხურზე —11, აგრეთვე ფაბრიკა სისტემატიურად ღებულობს უფასოდ თითო ცალს „კომუნისტ"-ს და „ზარია ვასტოკა"-ს.

მუშათა შორის პოლიტიკური მუშაობისთვის მოწყობილია ქართულ და სომხურ ენაზე პოლიტიკური წრეები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ, პირველ რაიკომის მიერ დანიშნული ამხ. ბეჟანოვი და ამხ. ზურაბოვი.

რაც შეეხება სატარიფო საკითხს, შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესებულია. მუშა-მოსამსახურეები ჯამაგირს იღებენ კოლექტიური ხელშეკრულებით, რომლის ყოველი მუხლი დაცულია. კავშირის საწევრო გადასახადის შეტანა 1 თებერვლიდან ინდივიდუალურად ხდება და ამ მხრივ მერყეობას ადგილი არა აქვს. შრომის დაცვის საკითხშიაც სრული წესიერებაა.

მუშა ქალთა და მცირე-წლოვანთა შორის მუშაობას შედეგად მოჰყვა პირველების ქალთა განყოფილებაში გაწევა და მეორეთა—ახალგაზრდათა კომკავშირში ჩაწერა.

შტატის მოსალოდნელ შემოკლების გამო, მუშები დიდ სასოწარკვეთილებაში არიან ჩავარდნილი. ადგილობრივი კომუჯრედი, იზიარებს რა მუშების ასეთ მდგომარეობას, ძალიან სიფრთხილეს და წინდახედულობას იჩენს და ყოველ ღონეს ხმარობს, დაეხმაროს შემმოკლებელ კომისიას, შემოკლების კანონიერად, სამართლიანად ჩატარებაში.

მუშკორი ხე—ძე.

მოქ. ტატიაშვილის ხე-ტყის ქარხანაში.

ეს ქარხანა არის მოთავსებული ვერის დაღმართზე. ორი წელიწადია, რაც მისი მუშაობა შეჩერებული იყო და მხოლოდ ა. წ. მაისის პირველ რიცხვებში ქარხნის მუშაობა კვლავ განახლდა ქარხნის სათავეში ჩაუდგა ქარხნის ძველი მწარმოებელი, მოქ. ტატიაშვილი, ახალი ამხანაგობის შემადგენლობით.

ქარხანაში არის ერთი ხე-ტყის დამამუშავებელი მანქანა, რომელიც პატრონმა ეხლახან შეაკეთა.

ქარხნის პატრონს ყავს დაქირავებული რამოდენიმე მუშა, რომელნიც ხელფასს იღებენ ამ დარგის მუშებისთვის დაწესებულ განაკვეთის რაოდენობით, მაგრამ ქარხანაში არ არის შედგენილი შრომის დაცვისა და შინაური მოწესრიგების წესები;

მუშები არ ითვლებიან პროფკავშირის წევრებად. მათ არა აქვთ დადებული მეპატრონესთან კოლექტიური ხელშეკრულება. მუშები არ არიან დაზღვეულნი და მათ არა აქვთ საანგარიშო წიგნაკებიც.

ალნიშნული დეფექტები უნდა იქნეს გამოსწორებული დაუყოვნებლივ, რაზედაც მიუთითებთ შრომის ინსპექციას.

მუშკორი ჩხმელი.

აუტანელი მდგომარეობა.

(საპასუხო წერილი იხ. „კომუნისტი" № 126).

გაზეთ „კომუნისტი"-ს № 126-ში მოთავსებული იყო წერილი შემდეგი სათაურით: „აუტანელი მდგომარეობა" მუშა ნაფაცრულისა, ცხრა წელიწადია რაც ის „მუშა ნაფაცრული" სდგას ჩემს სახლში (დუნდუკოვ-კორსაკოვის ქ. № 2) და ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ გასული წლის აპრილიდან იხდის ოთხი ოთახის საფასურად 145 ათას მანეთს. 1914 წელს სახლს გაუკეთე კაპიტალური რემონტი, რომელზედაც დამეხარჯა იმ დროს სამი ათასი მანეთი ოქროთი. ამ ახლად შეკეთებულ სახლში გადმობრძანდნენ ელენე ამაშუკელი და და მისი ბიძაშვილი.

რამდენიმე ხნის განმავლობაში მათი უდიერი და დაუდევარი ცხოვრებით ჩემი სახლი ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ მართლაც არის თავზე დამექცეს.

1919 წ მუშა ნაფაცრულმა თავის ბინაზე გააჩინა ცეცხლი, რის გამოც ერთი ოთახი სრულიად დაიწვა და სამი ოთახის კი სახურავი ბალკონით. ასეთი ზარალის შემდეგ მე მოვითხოვე მდგმურების სახლიდან გადასვლა. მაგრამ ჩემი მდგმურები ადგილიდანაც არ დაძრულან. ამას შემდეგ ჩამოვარდა ჩვენ შორის უსიამოვნება, რაც უფრო გაიზარდა ომის შემდეგ, როცა მუშა ნაფაცრულის ბიძაშვილმა, ამაშუკელის ქალმა, თავის ბინაზე „კერასინკით" ხელმეორედ ცეცხლი გააჩინა. ფანჯრების მინები, როგორც თავიანთი ოთახებისა, ისე სხვა მდგმურების თვითონვე დალეწეს. დღეს კი „მუშა ნაფაცრული" ჩემი სახლის განადგურებას მევე მაბრალებს.

ამ ჟამად მე ისეთ კრიტიკულ მდგომარეობაში ვიმყოფები, რომ რემონტის გაკეთებას ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევძლებ. ამისათვის ტეხნიკური კომისიის მოწვევაზე, რომელსაც „მუშა ნაფაცრული" მოითხოვს, არა თუ საწინააღმდეგო არა მაქვს რა, არამედ მე თვით მსურველი ვარ მისი, რათა მიუდგომელი შემოწმებით სინამდვილე და საქმის ნამდვილი მდგომარეობა გამოირკვეს.

სპირიდონ ნორაკიძის ქვრივი
დადუ.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს.

(შვებულების დროს ხელფასის ანაზღაურება).

კითხვა: როდის და რა რაოდენობით უნდა მიეცეს შვებულებაში მყოფ მუშა-მოსამსახურეს შრომის ხელფასი?

პასუხი: შვებულებაში მყოფ მუშა-მოსამსახურეს შრომის ხელფასი უნდა მიეცეს წინდაწინვე. მთელ შვებულების დროისათვის შვებულების სამი თვის წინ არსებულ საშუალო ხელფასის მიხედვით, მაგრამ არა ნაკლებ იმ ხელფასისა, რომელიც მუშა-მოსამსახურემ მიიღო შვებულების წინა თვეში.

კითხვა: რა წესით ხდება აღნიშნულ შრომის ხელფასის ანაზღაურება?

პასუხი: შვებულების დროს მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ანაზღაურება უნდა მოხდეს მათთვის გამომუშავებული ჯამაგირით საქონლის მანეთებში.

კითხვა: რა წესით ხდება შრომის ხელფასის საქონლის მანეთებიდან ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებზე გადაყვანა?

პასუხი: იმ დაწესებულება-საწარმოებებში, სადაც კოლექტიურ ხელშეკრულებებით რაიმე განსაკუთრებული წესები არ არის დამყარებული შრომის ხელფასის გადაყვანა საქონლის მანეთებიდან ფულის ნიშნებზე ხდება საქონლის მანეთის იმ კურსის მიხედვით, რომელიც გამოცხადებული იქნება თავის უახლოეს წინა რიცხვებში; მაგალითად—თუ მუშა-მოსამსახურეს შვებულება ეძლევა თვის 1 და 8 რიცხვს შუა, მაშინ საქონლის მანეთის კურსი აღებულ უნდა იქნეს ის, რომელიც დაწესებულია პირველ რიცხვისათვის; 8 და 15 რიცხვს შუა მიცემულ შვებულებაში ხელფასის ანაზღაურება ხდება—8 რიცხვის კურსით; 15—22 რიცხვს შუა - 8 რიცხვის კურსით; 22—31 რიცხვს შუა კი —22 რიცხვის კურსით.

კითხვა: აქვს თუ არა უფლება შვებულებაში მყოფ მუშა-მოსამსახურეს შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ მოითხოვოს რაიმე დამატებითი ხელფასი?

პასუხი: ამის უფლება შვებულებაში ნამყოფ მუშა-მოსამსახურეს არა აქვს, თუნდ მისი შვებულებაში მყოფობის დროს მოხდეს საერთო წესით მის თვიურ მანეთის გადიდება. (იხ. კოდ. შრ. კან. მუხ. 69 და პროფსაბჭოს სამდივნოს ცირკულიარი გამოქვეყნებული გაზ. „კომუნისტ"-ში № 130-ში).

მუშათა ქრონიკა

მკერავთა არტელი. მკერავთა კავშირი ახლო ხანში ხსნის მკერავთა არტელს უმუშევარ წევრთაგან.

— **მორიგეობა ბირჟაში.** შრომის ბირჟაში შემოღებულია ბირჟის კომიტეტის წევრთა მორიგეობა. მორიგეობის მიზანი არის მონაწილეობის მიღება ბირჟის მუშაობის დროს აღძრულ საკითხების გადაწყვეტაში.

— **დაზღვეულთათვის წიგნების მიცემა.** იმ მუშებს, რომელნიც დაზღვეულნი არიან, საპირადო წიგნაკები მიეცემათ უფასოდ.

— **უმუშევრების გამოცხადების დრო.** შრომის ბირჟის გამგეობამ დაადგინა სიცხეების და ბინის სივიწროვის გამო დაზღვეული მუშები—პროფკავ. წევრები აღრიცხვაზე უნდა გამოცხადდენ კვირაში ერთჯერ—სხვა უმუშევრები თვეში ერთჯერ.

— **წარმოდგენები მუშებისათვის.** ცენტრალურ მუშათა კლუბში ამიერიდან განზრახულია შაბათობით გაიმართოს წარმოდგენები მუშებისათვის ხელმისაწვდომ ფასებში.

— **მუშები მცხეთის დასასვენებელ სახლში.** პოლიგრაფ. კავშირმა მცხეთის დასასვენებელ სახლში ჯერ-ჯერობით გაგზავნა ორი კვირის ვადით 40 მუშა. მათი დაბრუნების შემდეგ გაიგზავნება მუშების მეორე რიგი.

— **მუშების მოთხოვნა.** ქ. გროზნოს აგურის ქარხნის ადგილობრივმა წარმომადგენლობამ განცხადება შეიტანა შრომის ბირჟაში, რომლისგანაც მოითხოვს გაგზავნოს ქ. გროზნოს აგურის ქარხანაში სამუშაოდ 80 მუშა, რომელთაც დღიურათ მიეცემათ 200 მილიონი მანეთი საბჭოთა ფულის ნიშნებით.

— **დახმარება უმუშევართ.** კომუნალურ მეურნეობის კავშირმა შიმშილობის შედეგებთან მებრძოლ ფონდიდან დახმარება გაუწია ფულით 18 უმუშევარს.

სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატში

თვითმშრომელთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოების წესდების შეცვლა.

გამგეების თათბირის დადგენილებით, საურთიერთო დამხმარე საზოგადოებებიდან გამოირიცხებიან ინტელიგენტური პროფესიის პირები და საზოგადოებას ეწოდება „ფიზიკურად თვითმშრომელთა დამხმარე საზოგადოება". საწარმოო არტელებში მომუშავეთაგან საზოგადოების წევრად მიიღებიან მხოლოდ ისინი, რომელნიც ღებულობენ წინასწარ მონაწილეობას მუშაობასა და მოგებაში. ინტელიგენტურ პროფესიის პირებს ენიჭებათ უფლება დამოუკიდებლად შეკავშირების საურთიერთო დახმარების ნიადაგზე.

ცნობა რუსეთის სოც. უზ. სახ. კომისარიატს.

საბჭოთა რუსეთის სოც. უზრუნვ. კომისარიატს გაეგზავნა ცნობა საქ. სოც. უზრ. კომისარიატის მიერ მუშაობის დაწყების შესახებ და ეთხოვა შეძლებისდაგვარად დახმარების აღმოჩენა. მასვე ეთხოვა სისტემატიური მოწოდება სოციალურ უზრუნველყოფის საკითხების შესახებ ყველა ლიტერატურულ გამოცემებისა.

დავრდომილ მეომართა სახლების მეთვალყურე.

დავრდომილ ბალუაშვილს დაეკისრა დასახიჩრებულ მეომართა სახლის მოვლა და მეთვალყურეობა.

პროვინციებიდან ჩამოსულ დავრდომილთათვის:

დავრდომილნი, რომელნიც თავის საკუთარი სურვილით ჩამოდიან, საზრდოობაზე არ ჩაირიცხებიან.

გლეხთა კომიტეტების ორგანიზაცია.

სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი უკვე შეუდგა გლეხთა კომიტეტების ორგანიზაციის პრაქტიკულად გატარებას. მიღებულია გლეხთა კომიტეტების შემდეგი წყობა: 1) სასოფლო კომიტეტი 2) სათემო, (სარაიონო კომიტეტი) 3) სამაზრო სექცია სოც. უზრუნვ. განყოფილებასთან 4) ცენტრალური სექცია სოც. უზრ. სახ. კომისარიატთან. სარაიონო კომიტეტებში შევლენ სასოფლო კომიტეტის წარმომადგენელნი არა უმეტეს ორისა თვითეულ სასოფლო კომიტეტიდან, სახალხო კომისია კი შესდგება რაიონების თითო-თითო წარმომადგენლებისაგან. სახელმწიფოს არ ეკისრება სასოფლო სარაიონო ტეხნიკურ მომუშავეთა შენახვა.

ორკვირეული გლეხთა კომიტეტების მოსაწყობად.

ორკვირეულის კამპანია გლეხთა კომიტეტების მოსაწყობად დაიწყება 15 ივნისს. ადგილობრივ გლეხთა კომიტეტების მოსაწყობად შესდგება სამაზრო კომისიები სახ. კომისარიატის რწმუნებულის, ს. კ. პ. სამაზრო კომიტეტის, სამაზრო აღმასკომის დ სამაზრო პროფ. ბიუროს წარმომადგენლების შემადგენლობით.

ქრონიკა

შინაგან საქმეთა კომისარიატში.

— **პირადობის წიგნაკების დარიგება.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ამით აცხადებს, რომ ვინაობის წიგნაკების გაცემა დაიწყება 15 ივლისიდან რომელ დროისთვისაც იქნება გამოცემული სათანადო ინსტრუქცია.

ქალაქის აღმასკომში

— **მებაღეობის კურსები** საადგილ მამულო განყოფილებამ დაადგინა გახსნას მებაღეობის კურსები. ხელმძღვანელათ მიწვეულია ამხ. ამირან მაჰავარიანი.

— **დახმარება მუშა მოსამსახურეებს.** აღებულ იქნა სათანადო შუამდგომლობა, რათა აღმასკომის მუშა-მოსამსახურეებს მიეცეთ ნისიათ საჭირო ფართლეულობა და ფეხსაცმელები.

— **სამკითხველოები.** დადგენილ იქნა ადგილკომის მიერ 1-ლ და მე-2 სანამყენოებში გაიხსნას სამკითხველოები. აგრეთვე ალექსანდრეს ბაღში მდებარე ეკლესია გადაკეთებული იქნეს სამკითხველოდ.

— **ქალაქის მამულები.** დაევალოს ამხ. ამხ ელენტს, მინასიანცს და ჯაფარიძეს ქალ. პირველ და მეორე მამულებში ადგილობრივ გამოარკვიონ მდებარეობა, მათი საკუთარ მეურნეობის გაუქმების გამო.

— **ჯამაგირები.** მცირე პრეზიდიუმის დადგენილებით აღმასკომის მუშა-მოსამსახურეებს ჯამაგირები მიეცემა 15 და 30 რიცხვებში.

ა.-ქ. შრომის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში.

— **პროვინციის შრომის განყოფილებათა დათვალიერება.** ა.-ქ. შრ. სახ. კომ. რწ. სამმართველოს ინსტრუქტორების მიერ დავალებული იქნა ბათომის, ქუთაისის და ფოთის შრომის განყოფილებები, სენაკის და სამტრედიის შრომის ინსპექციები. ახლო ხანში მოხდება დანარჩენ განყოფილებების დათვალიერება.

— **შუამდგომლობა.** აღძრულ იქნა შუამდგომლობა სახ. კომისართა წინაშე, რათა შრომის ბირჟას და დამზღვევ კასას მიეცეს ახალი შესაფერი ბინა.

— **საწარმოო შენობების აგება გორში.** სამმართველომ ქ. გორში მიავლინა ტეხნიკოს-ინსპექტორი—საკონსერვო ქარხნისა და ელექტრონის სადგურისთვის ასაგებ შენობების ხელმძღვანელობის გასაწევათ.

— **უმუშევართა სასადილოებისთვის.** ს. ს. ს. რ. სიმშილობასთან მებრძოლ კომიტეტმა სამმართველოს გადასცა 200 ფუთი სხვა და სხვა პროდუქტებისაგან დამზადებული კონსერვები, უმუშევართა სასადილოებისათვის.

დამზღვევ კასაში

— **დამზღვევ კასათა თავმჯდომარეების ყრილობა.** 11 ივნისს ტფილისში გაიხსნა დამზღვევ კასათა თავმჯდომარეების ყრილობა. ყრილობა გასტანს რამდენიმე დღეს.

გამომცემლობა.

— **ვ. ჰიუგო. გავროში.** გამოვიდა ვ. ჰიუგოს ცნობილი რევოლიუციონური მოთხრობა „გავროში" ფასი 15 კაპ. ჩერვონცით. გამოცემა ახალგაზრდათა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა.

კრებები და მოხსენებები

— **„ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება".** ხუთშაბათს, 14 ივნისს, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში შესდგება საზოგადოების მორიგი სხდომა. დღის წესრიგი: 1) ექ. მ. ცხაკაია—ეთერზეთის ნარკოზი; 2) ექ. ილ. ახმეტელი—ტრაუმვატიული ანეირიზმები; 3) ექ. ნ. გეგეჭკორი—წვრილი ზონდით კუჭის წვენის ამოღება მონელების დროს; მიმდინარე საკითხები. დასაწყისი საღ. 7 ნახ. საათ.

სხვა და სხვა.

— **საჰაერო ფოსტა ტფილისს და ბათომს შორის.** უკვე დაიწყო საჰაერო ფოსტამ მოძრაობა ტფილისსა და ბათომს შორის „იუნკერსის" სისტემის ჰაეროპლანის საშუალებით.

— **სასოფლო-სამეურნეო გამოფენისთვის.** სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოსთან არსებული სრულიად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერის ცენტრალი ბიუროში (ბროსეს ქ. № 4) ივნისის 14-დან იწყება ინსტრუქტორების და რეგისტრატორების წინასწარი ჩაწერა. აღწერაში მონაწილეობის მიღების მსურველთ უნდა მიმართონ ზემოაღნიშნულ მისამართით.

შრომის ბირჟაში.

— უმუშევრები. 11 ივნისს აღრიცხვაზე გამოცხადდა 843 უმუშევარი, ჩაეწერა ახალი უმუშევრები—125, გაიგზავნა სამუშაოზე—27.

შემთხვევები.

ბოროტ-მოქმედთა შეპყრობა

— ფულის მითვისება. კვლევა-ძიებამ გამოარკვია, რომ მე-7 რაიონის მილიციის უფროსის მიერ მითვისებულია 28.360.000 მანეთი, საქმე გადაეცა აღმოსავლეთ საქ. რევტრიბუნალს მილიციის უფროსის პასუხისგებაში მისაცემად,

— ოქროთი სპეკულიაცია. რწმუნებულ ბასუსტმანმა შეიპყრო ჰაჯი-იბრაგიმ აკნეევი, რომელიც მაღალ ფასებში ჰყიდიდა ოქროს ფულებს. აკნეევი დანაშაულში გამოტყდა. საქმე გადაიგზავნა აღმასკომის განკარგულებაში მოქ. აკნეევის პასუხისგებაში მისაცემად.

— ამავე რწმუნებულის მიერ შეპყრობილია წითელ-არმიელი ავაკ ხაჩატურიანცი, რომელსაც ბრალდებოდა სახლების გაქურდვა. ხაჩატურიანცი გამოტყდა დანაშაულში და გაიგზავნა კუთვნილებისამებრ.

— შეპყრობილი არიან ჰაგაგისოვი და გუსიევი, რომლებმაც მოიპარეს განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილების შტაბის საწყობიდან სახაზინო იარაღები. ქურდები დანაშაულში გამოტყდენ.

ხელოვნება

კონცერტი 2-რე სახელმწიფო კონსერვატორიაში.

2-რე სახელმწიფო კონსერვატორიას მე უწოდებ gelnendqaus-ს, როგორც ეს ლეიპციგშია, რასაკვირველია მინიატურაში, რადგან 2-რე კონსერვატორია თავის პატარა საკონცერტო დარბაზში ეს მეორე წელიწადია მართავს საინტერესო კამერულ კრებებსა და კვარტეტის საღამოებს. თავის საკუთარ ინიციატივით კონსერვატორიის გამგეობამ შექმნა თავისი საკუთარი სიმებიანი კვარტეტი.—მასში შევიდენ ცნობილი არტისტიული ძალები. პროფ. ილჩენკოს მეთაურობით, რომელიც მოსკოვის კონსერვატორიის დიდებულ პროფესორ გრჟიმალის მოწაფეა; ამ პროფესორის სახელი დაერქვა კონსერვატორიის მუდმივ კვარტეტს. თავისი საქმისადმი სერიოზულად მოპყრობით კვარტეტმა შესრულების ისეთ დამთავრებულ სახესა და ensembl-ის ისეთ სისრულეს მიაღწია, რომ ძალიან ჩქარა გახდა პოპულარული და ამ კვარტეტის კონცერტები ყოველთვის სავსე დარბაზს იზიდავს. მე გავიგე, რომ მომავალი სამუსიკო სეზონის დასაწყისიდან კვარტეტს ეწოდება სახელმწიფო კვარტეტის სახელი და მასში ალტის პარტიებზე მოწვეული იქნება ახალი ძალები. ყველა ამას ჩვენ მხოლოდ უნდა მივესალმოთ, რადგან მატერიალური უზრუნველყოფა შემსრულებლებს შეძლებას მისცემს კიდევ უფრო გაანვითარონ შესრულების ტეხნიკა. წარსული მუსიკალური სეზონის განმავლობაში მოწყობილი იყო 9 საკონცერტო და საკვარტეტო საღამოები. კვარტეტის უკანასკნელი კონცერტი შესდგა 8 ივნისს და მიძღვნილი იყო რუსეთის ლირიკის ტანეევის შემოქმედებისათვის. ძალიან კარგათ ლამაზ ნიუანსიროვკითა და ფრაზიროვკით იყო შესრულებული ტანეევის ორი კვარტეტი D-moll და E-dur-ი.

ფორტეპიანოს პარტიას კვარტეტ D-moll-ში ასრულებდა ვირსალაძის ასული; ვირსალაძის ასული ერთ-ერთი გამოჩენილი მოწაფეა ცნობილ ელინოვის ქალისა, რომელმაც პეტერბურგის კონსერვატორიაში დაამთავრა კურსი.

ვირსალაძის ასულმა დიდი ტეხნიკა (ოქტაური და თითების) და ბევრი მუსიკალური გემოვნება გამოიჩინა.

კონცერტში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე მომღერალმა ქალმა ტერ-დანიელიანმა, რომელზედაც მე უკვე ვლაპარაკობდი „კომუნისტის" ფურცლებზე.

ტერ-დანიელიანის ასულს მე ერთ საუკეთესო მომღერლად ვსთვლი თანამედროვე კამერულ ვოკალურ შემსრულებელთაგან.

მუსიკოსი

— **პიესა „ღალატი" ეკრანზე.** ამერიკის კინო ფირმების წარმომადგენელმა დაამთავრა მოლაპარაკება სუმბათაშვილ-იუჟინთან მისი პიესის „ღალატის" ეკრანზე გადაღების შესახებ, რომლის სცენარის დაწერას უკვე შეუდგა სუმბათაშვილი. სურათი გადაღებული იქნება საქართველოში ქართველ მსახიობების და რეჟისორების მონაწილეობით. ხელმძღვანელობას გაუწევს ამერიკულ კინოს გამოჩენილი რეჟისორი. ოთარ-ბეგის როლს ითამაშებს თვით სუმბათაშვილი.

— **შალვა დადიანის იუბილე ჭიათურაში.** კვირას, 17 ივნისს, ქ ჭიათურაში გაიმართება შალვა დადიანის იუბილე.

— **კინო-ატელიეს მოწყობა ბაქოში.** ახლო ხანში დასრულდება კინო-ატელიეს მოწყობა ბაქოში, რომელიც შეუდგება სურათების გადაღებას. პირველ რიგში განზრახულია გადაღებული იქნეს ლენტზე ბაქოში დახვრეტილ 26 კომუნარის ცხოვრება და დაღუპვა.

— **დახმარება.** ქალაქის აღმასკომმა პროლეტარულ თეატრის მსახიობს რევაზიშვილს მისი 30 წლის იუბილეს გამო დახმარების სახით მისცა 50 მილ. მან.

— **ავჭალის თეატრ-კლუბი.** აღმასკომმა ავჭალის თეატრ-კლუბის საამშენებლო კომიტეტს მისცა 300 მილიონი მან. აღნიშნულ თეატრის საჭიროებისათვის.

— **სეირნობა წითელ ჯვრის სასარგებლოდ.** კვირას, 17 ივნისს, გაიმართება დიდი სეირნობა ლატარიით საქ. წითელი ჯვრის სასარგებლოდ.

— **სახალხო სახლი.** ხუთშაბათს, 14 ივნისს მიხ. კავსაძის მომღერალთა გუნდი მართავს დიდ სახალხო კონცერტს 3 განყოფილებათ. შესრულებული იქნება ძველი ორიგინალური სიმღერები საქართველოს ყველა კუთხისა და აგრეთვე სცენები გლეხურ ცხოვრებიდან.

პროვინციაში

ჰიდრო-ელექტრონის სადგურის აგება ქ. ონში.

საბჭოთა წყობილების დამყარებისთანავე, ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაიწყო მაზრაში მნიშვნელოვანი სამუშევრები და ნაწილობრივათ კიდეც დაამთავრა.

უმთავრესი მუშაობა გამოიხატებოდა ხიდების აშენებაში და ახალი გზების გაყვანაში. მაგრამ უფრო საგულისხმოა და ღირს შესანიშნავი ის, რომ სამაზრო აღმასკომმა გულმოდგინეთ ხელი მოჰკიდა მძლავრ ჰიდრო-ელექტრონის სადგურის აგებას მდ. რიცეულზე (1000 ცხენის ძალის). ამ სადგურის ასაგებათ მუშაობა უკვე დაწყებულია, მაგრამ სამწუხაროთ, ეს სადგური იწვევს დიდ ხარჯებს (დაახლოებით 350.000 მან. ოქროთი) და უთუოდ სამაზრო ხელისუფლებას დიდი დრო დასჭირდება ამ სადგურის ასაგებათ, რადგან მას არავითარი საშუალება არა აქვს ადგილობრივი წყაროებიდან სადგური ააგოს, თუ მთავრობამ მას ფართო დახმარება არ გაუწია. ამ სადგურს ექნება დიდი მნიშვნელობა, რადგან, როგორც გამონგარიშებულია, ეს სადგური გაანათებს ორ მაზრას და ნაწილობრივ ენერგიას მიაწოდებს სხვა მაზრებსაც.

გარდა ამისა სამაზრო აღმასკომს განზრახული აქვს ააგოს ქ. ონში ჰიდრო-ელექტრონის სადგური, დაახლოებით 60 ცხენის ძალის. ხარჯთ-აღრიცხვით ამ სადგურის აგება ჯდება 8000 მან. ოქროთი, ეს ფული თუმცა დიდ თანხას არ წარმოადგენს, მაგრამ რაჭისათვის კი ეს ბევრს ნიშნავს. ეს სადგური გაანათებს ქ. ონს და ახლო მდებარე სოფლებს და უფრო შესანიშნავი არის ის, რომ მის ენერგიით ამუშავდება წისქვილი და ხე-ტყის სახერხავი ქარხანა, რომლების ყოველგვარი მოწყობილებები დიდი ხანია იმყოფება ადგილობრივ.

თუმცა ადგილობრივი მცხოვრებლები შესაძლებელ თანხას გაიღებენ, მაგრამ საერთო სიღატაკის გამო, მათგან შეიძლება შეგროვებულ იქნას არა უმეტეს 3000 მან. ოქროთი, რაც შეადგენს მცირე თანხას ამ სადგურის ასაშენებლად.

ეს სადგური დამთავრდება სულ სამ ოთხ თვეში, თუ კი მთავრობა დახმარებას მისცემს, სესხით მაინც. ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საქმეს ქ. თბილისში არსებულმა ეგრედ წოდებულ „რაჭის დამხმარე კომიტეტმა" და თუ კი რაიმე თანხა მოეპოება მას, საჩქაროთ უნდა გადასცეს სამაზრო აღმასკომს, რომელიც მალე შეუდგება ამ მნიშვნელოვანი სადგურის აგებას.

ე. ბ—ლი.

ქ. ხონი.

ხონის საზოგადოებას სულ მოკლე დროში ექნება მისთვის დიდი ხნიდან ოცნებათ ქცეული სახალხო სახლი. თითქმის ორი ათეულ წელიწადზე მეტია მას შემდეგ, რაც ხონის საზოგადოებამ განიზრახა სახალხო სახლის აგება, მაგრამ წინეთ ხელს უშლიდენ ხალხს სახლის აგებაში და ნებაც არ დართვეს საამისოდ ფულის შეკრებისა.

ამასთანავე ამ საქმეს კარგი ინიციატორიც ვერ გამოუჩნდა.

დღიდან საქართველოში მუშათა კლასის გამარჯვებისა, კულტურულ მუშაობას დიდი ყურადღება ექცევა, ამ მხრივ ხონშიაც ბევრი რამ გაკეთდა.

ქალ. ხონის აღმასრულებელმა კომიტეტმა სხვა აუარებელ საქმეთა შორის ენერგიულად მოკიდა ხელი და უკვე შეუდგა სახალხო სახლის აგებას.

ამისთვის ამ ორი სამი-თვის წინად აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ვლ. ნადარეიშვილის ხელმძღვანელობით მოწვეულ იქნა ხონის მცხოვრებთა საერთო კრება, სადაც მის მიერვე იქნა გაკეთებული მოხსენება სახალხო სახლის აგების აუცილებლობის შესახებ. მოხსენებას ხალხი აღტაცებით შეხვდა, განაცხადეს, რომ ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენენ ამ მათთვის მნიშვნელოვან და სასარგებლო საქმეს. არჩეულ იქნა საალმშენებლო კომისია, რომელმაც უკვე დაიკავა კავშირი ქალაქებთან და შეუდგა ნაყოფიერ მუშაობას ხსენებულ სახლის ფონდის გასაძლიერებლად.

ადგილობრივ გამართულ იქნა კონცერტი და წარმოდგენა, საიდანაც შემოსავალი უკლებლივ გადაიდო სახალხო სახლის სასარგებლოდ.

საალმშენებლო კომისია ჯერ-ჯერობით კარგათ მუშაობს. ვუსურვებ მას თავისი მუშაობა გაეფართოებინოს და მასზე დაკისრებული მოვალეობანი ღირსეულად შეესრულებინოს.

ამის იმედი ჩვენ გვაქვს.

გან—კონი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

წესები.

განკერძოვებულ გადასახადის დადებისა მოძრავ ვაჭრობაზე ქალაქებში. ა. კ. ცენტრალურ აღმასრ. კომიტეტის და ა. კ. სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი 1922 წ. აპრილის 2-ს თარიღით, განყოფილება—2, თავი—3, მუხლი—6, პუნქტი—10 (ქალაქებში).

1. მოძრავ ვაჭრობისათვის განკერძოვებული გადასახადი უნდა დაედოთ იმ პირთ, რომელნიც აწარმოებენ ფეხზე ვაჭრობას, ან სხვა სახის მოძრავს ვაჭრობას, თაეისუფალს სახელმწიფო სარეწაო გადასახადისაგან.

შენიშვნა: აღმასკომებს უფლება ეძლევათ გადასახადისაგან გაანთავისუფლონ ამა თუ იმ ხასიათის მოძრავი ვაჭრობა, მაგალითად, შინ სახმარებელ ძველ საგნების გაყიდვა.

2. განკერძოვებულ გადასახადის ნიხრი არ უნდა აღემატებოდეს: ა) ფეხზე ვაჭრობაზე (თაბახით, კალათით, ან ხელით) 2 პროცენტს ამა თუ იმ ადგილისთვის დაწესებულ პირველ ხარისხის სავაჭროების ნახევარ წლის სარეწაო მოწმობის სახელმწიფო ფასისა და ბ) ტვირთზიდვის საშუალებით ვაჭრობაზე (ურმით, საბარგო ეტლით და სხვა) 2 პროცენტს ამა თუ იმ ადგილისთვის დაწესებულ მეორე ხარისხის სავაჭროების ნახევარ წლის სარეწაო მოწმობის სახელმწიფო ფასისას.

ამას გარდა ხსენებული კატეგორიები შეიძლება დაყოფილ იქმნას სხვა ჯგუფებათ და მათთვის დაწესებული იქნეს გადასახადის რაოდენობა ზემო ნაჩვენებ ფარგლებში იმ ანგარიშით კი, რომ ფეხზე ვაჭრობაზე შეწერილი გადასახადი არ აღემატებოდეს ტვირთზიდვის საშუალებით ვაჭრობაზე დადებულ გადასახადის რაოდენობას.

3. განკერძოვებული გადასახადი გადახდილ უნდა იქმნას ბილეთის აღებით, რომელიც იძლევა ვაჭრობის უფლებას ამ ბილეთში აღნიშნულ დღის განმავლობაში.

4. ბილეთის მიცემის ადგილს და წესს აღმასკომები აწესებენ.

5. განკერძოვებულ გადასახადის გადახდის შემოწმებას აღმასკომები თავის აგენტებს ავალებენ.

ა. კ. ფინანსთა სახალხო კომისარი: თუმანოვი.

ა. კ. ფინანსთა სახ. კომის. კოლეგიის წევრი: ერქომაიშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

ვორე რაიკომი ატყობინებს, რომ დღეს 14 ივნისს, საღამოს [illegible] სახელობის კლუბში შესდგება მე-2 რაიონის წევრების და კანდიდატების [illegible]

დღის წესრიგი:

1. ამხ. ჟოჟიკაშვილის მოხსენება მრეწველობის შესახებ. 2. მიმდინარე საქმეები.

ვინც 15 წუთით დაიგვიანებს, არ იქნება გატარებული რეგისტრაციაში.

მდივანი: აკოპოვი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება ტფილისის ორგანიზაციის პოლიტიკური წრეების დასათვალიერებლად მობილიზაციით იწვევს შემდეგ ამხანაგებს: ის. თალაკვაძეს, დუდუჩავას, ნოვიკოვს, ელისაბედაშვილს, კოსტანიანს, ტაკოევს, ალაგარდიანს, სურხატიანს, კაჩიანს, მარო ორახელაშვილს. ზემოდ ჩამოთვლილი ამხანაგები ვალდებული არიან გამოცხადდენ ხუთშაბათს 14 ივნისს, დღის 1 საათზე მე-4 რაიონის პარტიული სკოლის შენობაში სათანადო ინსტრუქციების მისაღებად.

ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგის მოადგილე: ა. პენიაკოვი.

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს პარტიის ყველა წევრებს, რომელთაც არ გადაუხდიათ საწევრო გადასახადი პირველ ივნისამდე, ათ დღეში შემოიტანონ სათანადო რაიონებში.

ამ წინადადების არ ასრულებისათვის დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული.

პასუხისმგებელ მდივნებს ევალებათ სასტიკად ადევნონ თვალყური საწევრო გადასახადების წესიერათ შემოტანას.

თბ. კომიტეტის მდივანი რუბენი.

პროფესიული

„განათლების მუშაკთა სახლში" ხუთშაბათს, 14 ივნისს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია

მუსიკისა და სიმღერის კვესექციის მორიგი კრება

დღის წესრიგი:

1. საუბარი ვ. ი. დანოვსკის მოხსენების გამო „სიმღერის საქმე მოსკოვისა და პეტროგრადის სასწავლებლებში". 2. მიმდინარე საქმეები.

სახლის გამგე: შიუკაშვილი.

განცხადებები

მასწავლებელი ვალერიან ივანეს ძე გეგეჭკორი შვილებით აუწყებს ნათესავებს და მეგობართ უდროოდ გარდაცვალებას პირველის მეუღლის და დანარჩენთა დედის

ლიუბა ანტონის ასული გეგეჭკორისას

დაკრძალვა სოფ მარტვილში (სამეგრელო) ხუთშაბათს 14 ივნისს.

ერმილე თეოფილეს ძე სანდულაშვილი და მეუღლე მისი ბარბარე ესტატეს ასული გულის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავთ და ამხანაგებს, რომ ა. წ. 11 ივნისს, მიხეილის სახელობის საავადმყოფოში ტრაღიკულად გარდაიცვალა **სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომელი ამხანაგი**

გრიშა (გრიგორი) სპირიდონის ძე ქუთათელაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 14 ივნისს ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე ნაშუადღევის 4 საათზე მიხეილის სახელობის საავადმყოფოდან. ეთხოვთ ყველა ნაცნობთ, ნათესავთ და ამხანაგებს დაესწრონ დაკრძალვაზე. 805 1—1

მწუხარებით გულმოკლულნი: **დედა—ნინო კონსტანტინეს ასული, მეუღლე—მარიამ ილარიონის ასული, დები: მარიამი, ნინო, ნადეჟდა და ანნა, ძმა—მიხეილი, ბიძა—ვლადიმერი სამუილის ძე სიამაშვილი, სერგო მაქსიმეს ძე ჟორჟოლიანი და ალექსანდრე გიორგის ძე ჩხეიძე** აუწყებენ ნაცნობთ, მეგობართა და ნათესავებს, რომ ტრაღიკულად დაიღუპა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი.

გრიგოლი სპირიდონის ძე ქუთათელაძე

მიცვალებულის გამოსვენება—ხუთშაბათს, 14 ივნისს, ნაშუადღევის 4 ნახევარ საათზე მიხეილის საავადმყოფოს სამლოცველოდან. დაკრძალვა ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. 1—1

გულ-დათუთქულნი მამა დავითი რევაზის ძე; დები: ნინა, მარიამი დავითის ასულები და სიძე ვარლამ მაღულარია, მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და ამხანაგებს, რომ ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკო-მათემატიკური მე-3 კურსის სტუდენტი

ალექსანდრე დავითის ძე ოსაძე

პარასკევი 14 ივნისს, საღამოს 7 საათზე თავისივე სახლში, (ელისაბედის ქუჩა № 176) გამოსვენება მიცვალებულის 15 ივნისს, დილის 11 საათზე ნინო წმინდის ეკლესიაში და იქვე დასაფლავება. 804 2—1

რუსთაველის თეატრი
კვირას, ივნისის 17
გალაკტიონ ტაბიძის
საღამო

კრ. 423 7—4

საქ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა კავშირი „წარმოკავშირი"

ამით აცხადებს, რომ მისგან მოსპობილია სპეციალური ნდობის ქაღალდი მიცემული მოქ. მოქ. ე. ნ. ნეკრასოვის და ლ. გ. ლიპიანსკის სახელზე 16 დეკემბერს 1922 წ., წარმომადგენლობაზე უკრაინაში „წარმოკავშირი"-ს მოკავშირე ამხანაგობათა საქონლის გასასაღებლად. ამიტომ ყოველგვარი ხელშეკრულებანი და ვალდებულებანი გაცემული ამ პირების მიერ „წარმოკავშირი"-ს სახელით ითვლებიან გაუქმებულად.

გამგეობა.

კბილის ექიმი
ს. ა. ცეიტლინი
საპიორის ქ. № 41, მიღება მუდამ დღე 9—2 საათ. დღის და 4—7 ს. საღ.
კვირაობით 9—2 ს. დღის
ხელოვნური კბილები. ოქროს მუშაობა 788 25—4

დაიკარგე კავშირის წიგნაკი № 696 ტფილისის სატელეფონო ქსელის თანამშრომელ ვლადიმირ ბაიბურსკიმ. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დაიკარგე შრომის ბირჟის წიგნაკი იგნატი მუშინსკისა. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 6.000

ამხ. „ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, კრუზენშტერნის ქუჩა № 4.